# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№91 (9771) 2024 წლის 8 აგვისტო. ხუთშაბათი

ფასი 1 ლარი


„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება

## 07.08.2024

# აგვისტოს მოვლენებს აუცილებლად მიეცემა სამართლებრივი შეფასება!

**7 აგვისტოს ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი ფარისევლური პიარ-კამპანია აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ომის პარტიის წევრებმა მოინახულეს გმირი ჯარისკაცების საფლავები, გამოაქვეყნეს სამძიმრის ტექსტები. ისინი ამ ყველაფერს ისე უტიფრად აკეთებენ, თითქოს 2008 წელს დატრიალებულ ტრაგედიაში მათ არავითარი ბრალი არ მიუძღოდეთ.**

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2008 წელს ჩადენილ დანაშაულზე ჩვენ დღემდე მხოლოდ მინიშნებებით ვსაუბრობდით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. როგორც ცნობილია, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო სასამართლო პროცესები სტრასბურგსა და ჰააგაში, რომლებიც, ჩვენი ხელისუფლების უდიდესი ძალისხმევით, საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. ახლა კი, როდესაც სრულად არის გადავლილი იმის თეორიული რისკიც კი, რომ საქართველოს, ქართულ ჯარს და თუნდაც ერთ ქართველ ჯარისკაცს საერთაშორისო დონეზე რაიმე პასუხისმგებლობა დაეკისროს, დადგა დრო, საზოგადოებამ გაიგოს სრული სიმართლე და ყველა ფაქტს სრულფასოვანი სამართლებრივი შეფასება მიეცეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ მოღალატეობრივ დანაშაულს უმძიმესი შედეგები მოჰყვა. 2008 წლის ომის შედეგად დავკარგეთ ორი ისტორიული რეგიონი, დაიღუპა ასობით ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, ხოლო 30 000 ადამიანი დევნილად იქცა. დაუშვებელია, ამ მასშტაბის დანაშაული სამართლებრივი შეფასების გარეშე და დაუსჯელი დარჩეს.





**წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ ომის დაწყების თარიღად 8 აგვისტოს ასახელებდა და მათი მხრიდან პროტოკოლური ღონისძიებებიც სწორედ ამ დღეს სრულდებოდა. რამდენიმე წლის წინ კი, რადიკალურმა ოპოზიციამ გადაწყვიტა თარიღი შეეცვალა და მან ომის დაწყების დღედ 7 აგვისტო გამოაცხადა. ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარი დანაშაულის დაფარვას და პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობს. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო სასამართლოებში ყოველგვარი რისკი უკვე გადავლილია, ომის დაწყების თარიღის ხელოვნური ცვლილება და მსგავსი მანიპულაციები ომის პარტიის წარმომადგენლებს ვერ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ უმძიმეს კითხვებზე საჯაროდ პასუხის გაცემა თავიდან აირიდოს.**

თარიღთან დაკავშირებული ვერავითარი მანიპულაცია ვერ გადაფარავს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებსა და განცხადებებს, რომლებიც სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. კერძოდ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პირველი ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ 7 აგვისტოს საომარი მოქმედებების არეალში რუსული ჯარი არ იმყოფებოდა, პრეზიდენტის 402-ე დადგენილებაში ჩნდება. 2008 წლის 9 აგვისტოს გამოცემულ დოკუმენტში წერია, რომ რუსი სამხედროები და რუსული სამხედრო ტექნიკა საქართველოში როკის გვირაბის გავლით 8 აგვისტოს შემოვიდნენ. ამ დოკუმენტს მალევე მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუციაზე ხელის მოწერა, რაც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მოღალატეობრივი ნაბიჯი იყო. რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ ესკალაცია ღია და სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში ქართული მხარის მიერ 7 აგვისტოს ცხინვალის გაუფრთხილებლად დაბომბვით გადაიზარდა. რეზოლუციაში აღნიშნული აქტი შეფასდა როგორც ქართული მხარის მიერ შეიარაღებული ძალების არაპროპორციული გამოყენება, რომელმაც დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული

იხ. მე-5 გვ.

# დავით ზარდიაშვილი:

**ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, კონსტიტუციის განსაკუთრებით უხეში დარღვევა სააკაშვილის მიერ 9 აგვისტოს გამოცემული საომარი მდგომარეობის შესახებ აქტითაც უდავოდ დასტურდება, სადაც შავით თეთრზე მითითებულია, რომ რუსები საქართველოში შემოიჭრნენ 8 აგვისტოს, რაც, მისი თქმით, ტალიავინის დასკვნის სასარგებლოდ ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა. ანალიტიკოსის შეფასებით, საომარი მდგომარეობის შესახებ ამ 9 აგვისტოს აქტით პირდაპირ აღიარებულია, რასაც ტალიავინი ამბობს თავის დასკვნაში: „2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მიერ განხორციელებული ოპერაცია არ წარმოადგენდა მხოლოდ თავდაცვით აქციას“...

## 08.08.2008

# სამდღიანი ომი, ტალიავინის დასკვნა და იდიოტი სააკაშვილის პოლიტიკური კრახი!

2-8

თეიმურაზ ჯანელიძე

## ვაის გაავეყარე და უის შევეყარე



ბელგრადის დაბომბვა სევდიანი ქმედება იყო, თუმცა, ჩვენ ასე ხშირად ვიქცევით, ხშირად ვანადგურებთ ქალაქებს და ვაწარმოებთ უამრავ ომს, ჩვენ ხომ მუდმივი ომის ქვეყანა ვართ.

ჯეფრი საქსი

საქართველო სცილასა და ქარიბდას შორის

3

## 650-მა ადამიანმა საიქიოდან დასაბრუნებლად 170 000 ფუნტი გადაიხადა

7

## საიქიოდან დაბრუნებულები...



ჩვენი ოჯახის ფრონტი



არჩილ ჩხოტუა

## ნელი მოქმედების ნაღმი!

6

საქართველოს რესპუბლიკა

# 08.08.2008

№91. ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 2024 წელი



## დავით ზარდიაშვილი:

# სამდღიანი ომი, ტალიავინის დასკვნა და იდიოტი სააკაშვილის პოლიტიკური კრახი!



პირველი გვერდიდან

**– რა მოხდა 2008 წელს, რატომ ვერ, ან არ აიცილა მაშინდელმა ხელისუფლებამ საომარი ვითარება?**

**დავით ზარდიაშვილი:** საომარი ვითარების თავიდან აცილება არც შედიოდა მაშინდელი ხელისუფლების გეგმებში. ამას ადასტურებს მოვლენათა განვითარების მთელი ლოგიკა აგვისტოს ომამდეც და ცხადია, თავად ამ ომშიც. აშკარად იკვეთება, რომ სააკაშვილის რეჟიმი არ ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული ინტერესებით, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულებებით და ვითარების დეესკალაციას არ ესწრაფვოდა. პირიქით, დიდი ალბათობით, სწორედ გარედან კარნახით, იგი მუდმივად ძაბავდა ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან და ამისთვის არ ერიდებოდა კონფლიქტის ზონაში ღია პროვოკაციებსაც. აშკარა პოლიტიკურ ავანტიურად და ამდენად, პროვოკაციადაც უნდა შეფასდეს მაგ. თავის დროზე ფართოდ გაშლილი და „გაპიარებული" იდიოტური კამპანია – „კოკოითი ფანდარასტ", რასაც მოჰყვა მთელი რიგი უკანონო და ანტიკონსტიტუციური ნაბიჯებიც, მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზება, როცა შეიქმნა ე.წ. დროებითი ადმინისტრაციული ერთეული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სადაც დაინიშნა სანაკოევი სახელმწიფო რწმუნებულად, ხოლო ამის პარალელურად, იგივე სანაკოევი „არჩეული" იქნა თითქოსდა „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად".

თვალსაჩინო იყო, რომ ეს ე.წ. არჩევნები კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ და უკანონოდ მთლიანად ორგანიზებული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ, ტარდებოდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ჰქონდა სამართლებრივად აბსურდული (საქართველოს ხელისუფლება არ შეიძლება თავად ახალისებდეს და აორგანიზებდეს ასეთ ანტიკონსტიტუციურ არჩევნებს საკუთარსავე ტერიტორიაზე), ხოლო პოლიტიკურად პროვოკაციული მიზანი - სანაკოევი გამოეცხადებინათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად ასევე, თვითმარქვია კოკოითის მაგივრად.

არსებობს სხვა ფაქტებიც, რაც მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ 2004 წლიდან, როცა ოქრუაშვილმა წარუმატებლად სცადა კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა, სააკაშვილის რეჟიმი არ იყო დაინტერესებული სამშვიდობო მოწესრიგებით და მუდმივად, მათ შორის მილიტარისტული პროპაგანდით, ქმნიდა სერიოზულ აღქმას, რომ ემზადებოდა ისევ ძალისმიერი გადაწყვეტისთვის, ელოდა რა „ხელსაყრელ" მომენტს.

ასეთ მომენტად, როგორც ჩანს, მან მიიჩნია ვითარება, რაც გეოპოლიტიკურად შეიქმნა ნატოს 2008 წლის ბუდაპეშტის სამიტის შემდგომ, როცა საქართვლომ, უკრაინასთან ერთად მიიღო ნატოში გაწევრების იმთავითვე უსაფუძვლო დაპირება. სამწუხაროდ, ეს დაპირება ფუჭი აღმოჩნდა და ძალზე მავნეც. გარდა იმისა, რომ უკრაინაც და საქართველოც გახდნენ რუსეთის აგრესიის აშკარა სამიზნეები, ამ ფუყე დაპირებამ ასევე ხელი შეუწყო სააკაშვილის ავანტურისტიული გეგმების მოტივაციის საშიშ ზრდასაც.

**– აგვისტოს ომის წარმოებამდე ხელისუფლებამ მიიღო საკამოდ უცნაური გადაწყვეტილება. ჯერ იყო, რომ შექმნა სანაკოევის ე.წ. ხელისუფლება და ლენინგორს შეეცვალა სტატუსი და დაარქვა ახალგორი, შემდეგ მიადგნენ კოდორის ხეობას, ჯერ დაშალეს „მონადირე" და ვიცით, რა პროცესები უძღოდა „მონადირის" დაშლას. ამის შემდეგ ხეობას დაექვა ზემო აფხაზეთი. ანუ, იურიდიულად ორივე რეგიონი აღმოჩნდა ოსებისა და აფხაზების კონტროლის ქვეშ. აქ საინტერესო დეტალია ისიც, რომ ზემო აფხაზეთი უბრძოლველად გადასცეს რუსეთს. ამ შემთხვევაში რა ინტერესი იყო ჩადებული სააკაშვილის ხელისუფლების მიერ?**

– სტრატეგიული ინტერესი, რითაც გარედან კარნახით მოქმედებდა სააკაშვილი, გახლდათ რუსეთის აგრესიის პროვოცირება, რათა რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო შენარჩუნებული ესკალაციის დონე და საბოლოოდ შექმნილიყო „**casus belii**", გეოპოლიტიკური რღვევის საომარი ზონა „ჰარტლენდსა" და „რიმლენდს" ე.ი. რუსეთის ფედერაციასა და მის გარემომცველ სახელმწიფოებს შორის. რასაკვირველია, ამ სტრატეგიის, რასაც დღესაც ატარებს „გლობალური ომის პარტია", მიზანი მსოფლიოს გეოპოლიტიკური გადანაწილებაა და ამ სტრატეგიის ფარგლებში ათამაშებდნენ სააკაშვილსაც. იგი ორმხრივად თამაშობდა იმისდა მიხედვით, სად ექნებოდა მეტი ხეირი და წარმატება.

გარდა ამისა, მას ამოძრავებდა „მანია გრანდიოზა", ყოველთვის სურდა და ახლაც, ცხადია, ისევ სურს იყოს ყველაზე, ყველაზე, ყველაზე დიადი. ეს ორი რამ - მსოფლიოს გეოპოლიტიკური გადანაწილების „მოდუს ვივენდი", რაც სააკაშვილის და მისი რეჟიმის გარედან ნაკარნახევ სტრატეგიას ქმნიდა, აგრეთვე თავად სააკაშვილის ფსიქოტიპი, მისი მანია, როგორც „მოდუს ოპერანდი" ქმნიდა საბოლოოდ იმ აბსურდს, რასაც შეეწირა საქართველოს ეროვნული ინტერესები, მისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. უკლებლივ ყველა თქვენს მიერ კითხვაში ჩამოთვლილი უგუნური გადაწყვეტილება ამის შედეგია.

**– 7 აგვისტოს წინ უსწრებდა ჩაშლილი მოლაპარაკება, რომელშიც ჩართული იყო ხაინდრავა, როგორც სახელმწიფო მინისტრი; ამის შემდეგ მატულობდა დაძაბულობა; საქართველოში ჩამოდის კონდოლიზა რაისი და აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ არ დაიწყოს საომარი ვითარება, თუმცა ვიცით რაც მოხდა. დღეს როგორ ფიქრობთ, მაშინ სააკაშვილმა ვისი ინტერესების სასარგებლოდ იმოქმედა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არჩევნები იყო აშშ-ში და პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა ჯონ მაიკკეინი?**

– რაც არ უნდა ამტკიცოს ქ-ნმა რაისმა, რომ მან კატეგორიულად გააფრთხილა სააკაშვილი, მოხდა ის, რაც მოხდა – სააკაშვილმა, რომელიც ზემოტივირებული იყო საქართველოს ნატოში მიღების ფუჭი დაპირებით და თუნდაც ჯორჯ ბუში უმცროსის თბილისში ვიზიტისას ნაჩვენები ჟესტით, როცა მან ხელით მოხაზა კავკასიონის მთები და ამით „შთამბეჭდავად" აჩვენა „გეოპოლიტიკური რღვევის" საზღვრები, ის „წითელი ხაზები", რასაც რუსეთი თითქოსდა ვერასდროს გადმოლახავდა, მოსახდენი მოხდა: რუსეთმა გადმოლახა ეს წითელი ხაზები, ხოლო სააკაშვილმა ყველა პირობა შექმნა ამისთვის. ამ ჯიუტი ფაქტის გამო კონდოლიზა რაისის „ალიბს" არავითარი მნიშვნელობა და ფასი არ აქვს.

**– 7 აგვისტოს გენერალმა ყურაშვილმა გვამცნო, რომ ქართული შეიარაღებული ძალები იწყებენ კონსტიტუციური წესრიგის აღდენას, რასაც მოჰყვა საომარო მოქმედების დაწყება. საინტერესო პარალელია, როგორც ტამიშის ბრძოლის ველი დატოვა აკია ბარბაქაძემ, ასევე ბრძოლის ველი იმ მოტივით, რომ მკლავზე მიიღო ჭრილობა, დატოვა ყურაშვილმა, რომელიც დღეს ამბობს, რომ იმპულსური იყო მისი ეს განცხადება. ბატონო დათო, არ იცოდა ხელისუფლებამ, რომ როკის გვირაბი უკვე გადმოკვეთილი ჰქონდა რუსეთის რეგულარულ არმიას? თუ იცოდა, რატომ წავიდა ამაზე გამიზნულად?**

– ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლების მოქმედება იყო ანტიკონსტიტუციური და სრულიად უკანონო. არსებობს ორი ვერსია. ერთი ვერსია მოცემულია ტალიავინის კომისიის დასკვნაში, სადაც პირდაპირ წერია: „მისია ვერ დარწმუნდა საქართველოს იმ შეხედულებების ჭეშმარიტებაში, რომ თითქოს რუსი ჯარისკაცები როკის გვირაბის გავლით უკვე შემოიჭრენ საქართველოს ტერიტორიაზე ცხინვალზე საჰაერო და სახმელეთო შეტევამდე, რაც 7 აგვისტოს 23:35–ზე დაიწყო.

რუსეთის არმიის ნებისმიერი შეყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ამ მომენტის შემდგომ განხორციელდა, არ შეიძლება შეფასდეს როგორც წინმსწრები შეტევა, რაც საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებას, როგორც თავდაცვათ ღონისძიებას, დაასაბუთებდა". მეორე, საპირიპირო ვერსიაა, რომ ტალიავინის კომისიამ ცუდად იმუშავა, ვერ მოიპოვა ანდა სულაც დამალა ფაქტები, რომ რუსი ჯარისკაცები როკის გვირაბის გავლით უკვე შემოიჭრნენ საქართველოში 7 აგვისტოს ღამით დაწყებული ცხინვალის დაბომბვამდე, ანუ ადგილი ჰქონდა საქართველოზე რუსეთის წინმსწრებ სამხედრო თავდასხმას.

გაგრძელება მე-5 გვერდზე



# ჰაის გააჭყარე და შაის შეაჭყარე

**წმინდა იოანე კიბის აღმწერელის სწავლებით, სიცრუე სიყვარულის გამრყვნელია, ხოლო ცრუ ფიცი — ღვთის უარყოფა.**

**ვერ გეტყვით, იცნობენ თუ არა ამ სწავლებას ჩვენი ევრო-ამერიკელი პარტნიორები, მაგრამ სიცრუესა და ორპირობაში რომ არიან ხელმარჯვე შულერივით გაწაფული, ამის თქმა დაბეჯითებით შეგვიძლია, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით.**

**დროთა განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკით, სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი სადავო საკითხების მოგვარება, როგორც წესი, საელჩოების მეშვეობით ხდება და უკიდურესი აუცილებლობის გარეშე უფრო მაღალი რანგის სახელმწიფო სტრუქტურები საქმეში არ ერევიან ხოლმე. ასე იყო ჩვენ შემთხვევაშიც, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებამ პრინციპული ხასიათი არ გამოავლინა და შელახული სუვერენიტეტის აღდგენაზე არ გაბედა ხმამაღლა საუბარი.**

**რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა პატარა ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ერის ბედი, ყველა ზევიდან დაჰყურებს და მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ცდილობს მის გამოყენებას.**




1982 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრი მენახემ ბეგინი ამერიკაში რომ ჩავიდა ფინანსური დახმარების სათხოვნელად, ახალგაზრდა სენატორმა ჯო ბაიდენმა ისეთი მუქარანარევი მოთხოვნები წამოუყენა, სტუმარი მოთმინებიდან გამოიყვანა: „ნუ გვემუქრებით დახმარების შეწყვეტით! რა უფლება გაქვთ, რახან გვეხმარებით, გვიკარნახოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ?“

პარალელი რომ გავავლოთ, ანალოგიურად გვემუქრებიან ჩვენც ამერიკელი სტრატეგიული მოკავშირეები და, თუ ამის აუცილებლობას დაინახავენ, სიტყვიერი მუქარა საქმითაც მოჰყავთ მოქმედებაში შესაშური ოპერატიულობით. მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ კონგრესმენ ჯო უილსონის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატები არა მარტო გააუქმებს გაყინულ ფინანსურ დახმარებას, არამედ შეღავათიან სავაჭრო რეჟიმს დაგვიწესებს და შესაძლოა, ვიზალიბერალიზაციასაც კი გამოვკრათ ხელი ბონუსის სახით, თუკი საქართველოს ხელისუფლება უარს იტყვის ანტიდემოკრატიული საგარეო კურსის გატარებაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობას გულისხმობს.

**შანტაჟი და მუქარა რომ ნაცადი იარაღია იმპერიალისტური ამბიციების მქონე სახელმწიფოთა პოლიტიკაში, ყველა ჭკუათამყოფელმა იცის, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ისე ღრმად გაიდგა ფესვი, უკვე შიდა დაპირისპირებაშიც აქტიურად გამოიყენებენ. მეტი სიცხადისათვის, შეგვიძლია გავიხსენოთ დონალდ ტრამპის მუქარანარევი დაპირება იმასთან დაკავშირებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, იგი სააშკარაოზე გამოიტანს პრეზიდენტ კენედის მკვლელობას, 2000 წლის 11 სექტემბრის ტერაქტისა და მილიარდერ ჯეფრი ეპშტეინის საეჭვო გარემოში გარდაცვალების ამსახველ დოკუმენტებს, რასაც შეუძლია თავდაყირა დააყენოს ყველაფერი.**

შანტაჟითა და მაღალი რანგის დიპლომატისთვის შეუფერებელი მუქარით არის დაკავებული აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, რომელიც მისდამი დაქვემდებარებული უწყების პრესსპიკერის მეთიუ მილერის მეშვეობით გვიმზადებს ახალ-ახალ სიურპრიზებს, ყოვლად დაუსაბუთებელი პერსონალური სანქციების ჩათვლით.

მერე რა, რომ ენტონი ბლინკენის საგარეო პოლიტიკას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ამერიკელი სენატორები და „ომის კრიმინალს“ უწოდებენ სამოქალაქო აქტივისტები, იგი მაინც უცერემონიოდ ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში, როგორც მეტროპოლიის ამბიციური წარმომადგენელი.

ასეთი მკვეთრი შეფასება ვინმეს სუბიექტურად რომ არ მოეჩვენოს, თავს უფლებას მივცემ, დავიმოწმო პოლიტოლოგიის კლასიკოსად აღიარებული ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“, რომელშიც ავტორს დაუფარავად აქვს გადმოცემული აშშ-ის იმპერიული ამბიცია ევროპასა და აზიაში გაბატონებისთვის. უფრო გამარტივებულად თუ ავხსნით, წმინდა ამერიკული გაგებით, საქართველო, უარეს შემთხვევაში, მოიაზრება როგორც კოლონიური, ხოლო უკეთეს შემთხვევაში როგორც დომინიონი ქვეყანა, რომელსაც მოხერხებულად გამოიყენებენ საკუთარი იმპერიალისტური მიზნების სარეალიზაციოდ, გეოპოლიტიკურად ხელსაყრელ რეგიონში.

2000 წლის 11 სექტემბრის ავადსახსენებელი ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, როცა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის თანაგრძნობა ამერიკის შეერთებული შტატებისკენ იყო მიმართული, კოლუმბიელი ხალხის სახელოვანმა შვილმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა მამხილებელი წერილით მიმართა იმდროინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომელშიც სულისშემძვრელი რეალობაა ასახული: **„ახლა, როდესაც „ტყუპი შენობები“ მტვრად იქცა და ტელევიზიის შემზარავ კადრებს ადევნებდით თვალს, ან ხალხის შეშინებული ყვირილი გესმოდათ, ნეტავ იმაზე თუ დაფიქრდით, რას გრძნობდნენ ვიეტნამელი უდანაშაულო გლეხები ამდენი წლის მანძილზე?.. ნეტავ, რამდენი ადამიანი დაიღუპა ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიცაა: ვიეტნამი, ერაყი, ირანი, ავღანეთი, ლიბია, ანგოლა, სომალი, კონგო, ნიკარაგუა, იუგოსლავია? უდავოდ არასრული სიაა. ყველა ამ ადგილას დახარჯული თითოეული ტყვია თქვენს ქარხნებში მზადდებოდა და მათ თქვენს მიერ გაწრთვნილი ბიჭები იყენებდნენ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ „ამერიკული ცხოვრებით“ გეცხოვრათ.**



**უნდა იცოდეთ, რომ მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანისთვის ამერიკა თავისუფლების მაგალითს კი არ წარმოადგენს, არამედ შორეულ ტირანს, რომელიც სთესს ომს, შიშს, შიმშილსა და განადგურებას...**

**გ. გ. მარკესი**

**უნდა იცოდეთ რომ მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანისთვის ამერიკა თავისუფლების მაგალითს კი არ წარმოადგენს, არამედ შორეულ ტირანს, რომელიც სთესს ომს, შიშს, შიმშილსა და განადგურებას“...**

იმ უიღბლო ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებსაც ღვთის რისხვა დაატყდათ თავს, მარკესი ახსენებს იუგოსლავიას, რომელიც, წესით და რიგით, ამერიკელების სამიზნე არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამასაც მოეძებნებოდა თურმე გამართლება. გავლენიანმა ამერიკელმა ეკონომისტმა და პოლიტიკის ექსპერტმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეფრი საქსმა სუპერპოპულარულ ტელეჟურნალისტ ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში ახსენა დოკუმენტი, სახელწოდებით – **„ამერიკის თავდაცვითი ხაზების აღდგენა 2000 წელს“**, რომლის მიხედვით, ბალკანეთი ამერიკისთვის ახალი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ლოკაცია უნდა გამხდარიყო, სადაც მსხვილი სამხედრო შენაერთები იქნებოდა დისლოცირებული. პროფესორ საქსის მტკიცებით, სწორედ ამ მზაკვრული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მიზნით იბომბებოდა უმოწყალოდ 78 დღის განმავლობაში ბელგრადი, რამაც სათავე დაუდო ახალ სახელმწიფო წარმონაქმნს კოსოვოს სახით, სადაც ამჟამად ყველაზე მსხვილი სამხედრო ბაზა აქვს აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.



**ამერიკის ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მიზნით იბომბებოდა უმოწყალოდ 78 დღის განმავლობაში ბელგრადი, რამაც სათავე დაუდო ახალ სახელმწიფო წარმონაქმნს კოსოვოს სახით, სადაც ამჟამად ყველაზე მსხვილი სამხედრო ბაზა აქვს აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.**

დასასრულს, მისტერ საქსი სინანულს გამოთქვამს იმ უდანაშაულო მსხვერპლის გამო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გადასარჩენად იქნა გაღებული: **„დიახ, ეს სევდიანი ქმედება იყო, თუმცა, ჩვენ ასე ხშირად ვიქცევით, ხშირად ვანადგურებთ ქალაქებს და ვაწარმოებთ უამრავ ომს, ჩვენ ხომ მუდმივი ომის ქვეყანა ვართ“.**

რწმენა იმისა, რომ უშიშროება მიღწეული იქნება, თუკი პატარა ქვეყანას ცოფიან ძაღლებს მივუსევთ, ფატალური შეცდომააო, უთქვამს უინსტონ ჩერჩილს. მართალია, ჩერჩილი ანგლოსაქსების ტიპური წარმომადგენელი იყო, მაგრამ საღად განსჯის უნარი არასოდეს ღალატობდა, როცა სიფრთხილეს საკუთარი ქვეყნის ინტერესები კარნახობდა, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკელ ანგლოსაქსებზე, ცხელი წერტილების პროვოცირებით რომ არიან დაკავებული მთელ მსოფლიოში.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილოები და ნუ ვიფიქრებთ, რომ წყეული ჯინ შარპის ფერადი რევოლუციების თეორია და სამგზის წყეული პიტერ აკერმანის რევოლუციური პრაქტიკა დასრულებულია და მათ ჯოჯოხეთში დამკვიდრებასთან ერთად უკვალოდ გაქრა.

**აშშ-მა კუბას შაქრის ბლოკადა რომ მოუწყო, ჰემინგუეიმ დაწერა, ეს იდიოტები მოსკოვს საჩუქარს უმზადებენო! ვშიშობ, ასე არ მოხდეს ჩვენ შემთხვევაში და ყოველმხრივ შევიწროებულმა ქართველმა ხალხმა დემონსტრაციულად არ აქციოს ზურგი ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორს, უპასუხისმგებლო სექსუალური პარტნიორივით რომ არიდებს თავს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.**

საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ავანტიურისტების გარდა, ადამიანის სისხლზე თეთრი ზვიგენებივით რომ არიან დაგეშილნი, საკანონმდებლო ორგანოშიც გამოჩნდნენ ექსტრიმის მოყვარული პოლიტიკანები. **მაგალითად, უთავმოყვარეო ალეკო ელისაშვილმა ისეთი უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა, იმ რამდენიმე ასეულ**

გაგრძელება მე-8 გვერდზე



# დავით ჩიხელიძე: ოპოზიციისთვის ვენესუელის სცენარი იდეალური ვარიანტია, მაგრამ მისი პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელი, რადგან ეს საქართველოა!

**ექსპერტი დავით ჩიხელიძე აცხადებს, რომ ვენესუელაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოსთვის საგზაო რუკა უნდა იყოს, რადგან ზუსტად ის სცენარი გამჟღავნდა, რომელი სცენარიც საქართველოს შემთხვევაში განიხილება — არჩევნების ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება და საპროტესტო მუხტის გამოწვევა. მაგრამ, როგორც ექსპერტი აცხადებს, აქ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რაც საქართველოს და ვენესუელას განასხვავებს: ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერე; პროფესიონალთა გუნდით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაცია; საზოგადოების განწყობები, უცხოელი დამკვირვებლების სიმრავლე და სხვა.**

**— როგორც წესი, სოციოლოგიური კვლევის ჩატარების დროს, ცდომილება 2-3% არის, რაც, ასე ვთქვათ, ოქროს სტანდარტად ითვლება, მაგრამ 2020 წელს Edison Research-ის კვლევის ცდომილება დაახლოებით 20% იყო, შესაბამისად როგორ შეიძლება მათ კვლევებზე სერიოზულად ვისაუბროთ.** „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ბევრად ნაკლებია, ვიდრე ეს კვლევაში არის წარმოდგენილი, ასევე გასათვალისწინებელია „ლელოს“ რეიტინგი, რომლის ლიდერმა რამდენიმე დღის უკან ფრანგულ საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ დავა წააგო. შეუძლებელია ადამიანს, რომელიც სახელმწიფოს მილიარდნახევარს ედავება, ადამიანს, რომლის ბანკსაც ასობით ადამიანზე აქვს სახლი ჩამორთმეული, ხმა მისცე. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის 13% სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი ხალხია, მე ქართველებზე უფრო აღმატებული წარმოდგენა მაქვს და მჯერა მათი გონიერების, სწორედ აღნიშნული და საზოგადოებაში არსებული განწყობები მეუბნება, რომ „ლელოს“ რეალური რეიტინგი 5%-თან ახლოს არის. Edison Research-ის კვლევა ვითარების მოთელვას ემსახურებოდა, რომელიც კონკრეტულ კაბინეტში დაიწერა და გრძელვადიან პერსპექტივაში დიდი პაზლის ერთი მცირედი ნაწილია, რომელიც დასავლეთის მიერ არის შედგენილი.

**— გამოითქვა ასეთი შეფასებაც, რომ „ქართულ ოცნებას“ 35%-ზე მეტის აღების პერსპექტივა დღეს რეალურად არ აქვს, რაც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის. როგორ ფიქრობთ, მმართველი გუნდი შესაძლოა დადგეს ამ რეალობის წინაშე, რომ უკვე მეორედ მოუწიოს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება?**

— ჩემი პირადი პოზიციაა, რომ 2012 წელს შექმნილი მთავრობა სტანდარტული გაგებით კოალიციურ მთავრობად არ ითვლება, რადგან ეს იყო არჩევნებამდე შემდგარი ოპოზიციური ერთობა, რომელიც პარტიაში ერთი ნომრით და სახელით შევიდნენ, მათ არ დასჭირვებიათ მთავრობის ფორმირებისთვის ვაჭრობა და დათმობებზე წასვლა, შესაბამისად, კლასიკური გაგებით, კოალიციურ მთავრობად ვერ განვიხილავ, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ კოალიციურ მთავრობასთან სიახლოვე ნამდვილად ჰქონდა. რაც შეეხება 2024 წელს გასამართ არჩევნებს და მის შედეგებს, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ, რომ დღევანდელი მოცემულობით კოალიციური მთავრობის შექმნის საფრთხე არ დგას, მაგრამ არჩევნებამდე დარჩენილ დროს რეიტინგებში გარკვეული ცვლილებების გამოწვევა შეუძლია.

**— საინტერესოა Edison Research-ის კვლევის კიდევ ერთი ნაწილი, რომლის თანახმად, 29% ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა არჩევა დაიმსახურა, 71%-ის აზრით კი, დროა, სხვა პარტიას მიეცეს შანსი. კვლევის ამ ნაწილს თუ გავყვებით, შეეცდებიან ფერადი რევოლუციის მეშვეობით ხელისუფლების ცვლილებას, ასევე თუ გავითვალისწინეთ სუს-ის გამოძიებას, რა მოცემულობა გვაქვს?**

— ზოგადად, კვლევა ციფრებით მანიპულირების და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საუკეთესო საშუალებაა, თითქმის 33% ხმას „ქართულ ოცნებას“ აძლევს, პარალელურად, 29% თვლის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა არჩევა დაიმსახურა, ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების 4% თვლის, შანსი სხვა პარტიებს უნდა მიეცეს. თუ ეს რეალობას ასახავს, ეს ადამიანები მხარს არა „ქართულ ოცნებას“, არამედ სხვა პარტიას დაუჭერდნენ... როგორ შეიძლება კვლევაზე სერიოზულად ვისაუბროთ, რომელსაც ასეთი აბსურდული აცდენები აქვს?!

რაც შეეხება რევოლუციურ ფონს, რა თქმა უნდა, არჩევნების შემდეგ ქვეყანაში არეულობის შექმნას და რყევების გამოწვევას შეეცდებიან, რაც რევოლუციისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილება, მაგრამ რევოლუციას ხალხის რაოდენობა და მუხტი სჭირდება, ოპოზიციისგან განსხვავებით, საზოგადოებაში რევოლუციური მუხტი არ არის. არც ოპოზიციის მხარდამჭერთა რიცხვია დიდია, რომ რევოლუცია მოაწყონ, შესაბამისად, რევოლუციური სცენარი ვერ განხორციელდება და მკვდრაშობილ წამოწყებად დარჩება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, სუს-ის მიერ დაწყებული გამოძიება, გავიხსენოთ მიხეილ სააკაშვილის ჩანაწერები ალასანიასთან, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ მსხვერპლი და სისხლი სჭირდებათ. მათთვის სასურველი მსხვერპლი ბიძინა ივანიშვილია, რადგან ეს არის ადამიანი, რომლის რეიტინგი განუზომლად დიდია და მისი პატიოსანი თამაშის წესებით დამარცხება შეუძლებელია.

**— ცხადია, რომ დასავლეთი და აშშ, ამ შემთხვევაში, არიან მხარეები. ისინი ღიად დადგნენ ხელისუფლების ოპოზიციაში და ამასვე ადასტურებს გაყინული გრანტები და მუქარები იმის შესახებ, რომ არსენალში აქვთ სხვა ბერკეტებიც. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეეცდებიან ვენესუელის მოვლენების განმეორებას და ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ და ასევე, ძალოვანმა უწყებებმა?**

- რა თქმა უნდა დასავლეთი და აშშ მხარეს წარმოადგენენ, ისინი ყოველი განცხადებით ოპოზიციის ფლანგს აძლიერებენ, რაც პირდაპირ ვთქვათ, მიუღებელია. მიუღებელია ხელისუფლების და ხალხის გაყოფა. შენი ვალდებულებაა პირადი სიმპათიები გვერდზე გადადო და ესაუბრო ხალხის არჩეულ მთავრობას, მიუხედავად იმისა, ის მისაღებია თუ არა. სამწუხაროდ, აშშ ახალ მახინჯ სტანდარტს ამკვიდრებს, მათ ხალხი და ხელისუფლება გაყვეს, რაც დაუშვებელია.

ვენესუელაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოსთვის საგზაო რუკა უნდა იყოს, რადგან ზუსტად ის სცენარი გამჟღავნდა, რომელი სცენარიც საქართველოს შემთხვევაში განიხილება - არჩევნების ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება და საპროტესტო მუხტის გამოწვევა. მაგრამ აქ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რაც ჩვენ და ვენესუელას განგვასხვავებს: ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერე, პროფესიონალთა გუნდით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაცია, საზოგადოების განწყობები და სხვა. შესაძლოა, ოპოზიციისთვის ვენესუელის სცენარი თეორიულად, იდეალური ვარიანტია, მაგრამ მისი პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელი, რადგან ეს საქართველოა.

**— ევროკავშირმა 30 მილიონი ევრო გაუყინა თავდაცვას და გადასცა ენჯეო სექტორს და ოპოზიციურ არხებს იმ მოტივით, რომ საქართველოში ამ ორგანიზაციებს ზეწოლის ქვეშ უწევთ ფუნქციონირება, შემდეგ იყო დანია 17 მილიონით და ბოლოს აშშ-მა გაყინა 94 მილიონი. რისთვის იყო გამოყოფილი ეს თანხა, რა დამატებით ზომებს უნდა ველოდოთ და საერთოდ, ამ თანხების გაყინვით რას ცდილობენ? ამერიკის მოქმედი ხელისუფლების შანტაჟი რა გავლენას მოახდენს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე?**

— ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობაში ძალადობრივი მექანიზმის გამოყენება დაუშვებელია, რას ნიშნავს დაფინანსების გაყინვა? ეს არის გაბუტული ბავშვის ქცევა, რომელსაც სათამაშო მეგობრისთვის უნდა ეჩუქებინა, მაგრამ გაბრაზდა და სათამაშოს თავისთვის დატოვება გადაწყვიტა. გაბრაზების მიზეზი კი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მეორე დღეს არცკი ახსოვს, რომ გაბრაზდა. დაახლოებით ასეთ სიტუაციაში იმყოფება დასავლეთი...

დღეს საქართველოს ბიუჯეტი სიდიდით საკუთარ მაქსიმუმზე იმყოფება, ასევე, გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციების ზრდა და ა.შ. რაც ნიშნავს რომ საქართველო დონორებზე დამოკიდებული აღარ არის და პროექტების განხორციელება მათ გარეშე შეუძლია, ამის მაგალითია თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი დაფინანსების შეჩერება, რომელზეც სახელმწიფოს ღირსეული პასუხი ჰქონდა, სახელმწიფომ თავდაცვის სამინისტროს დამატებით იმაზე დიდი ოდენობის თანხა გამოუყო, რაც „პარტნიორებმა“ შეაჩერეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა, ეს თანხა რა მიზნებით იყო გამოყოფილი, აქ მთავარია, რომ სახელმწიფოს აქვს რესურსი, ჰქონდეს თვითმყოფადი ბიუჯეტი და პროექტები დამოუკიდებლად განახორციელოს.

კითხვის მეორე ნაწილი შანტაჟს შეეხება, საქართველოსთან მუქარით და შანტაჟის ენით საუბარი შედეგის მომტანი არ არის, რადგან შესაძლებელია, დააშანტაჟო კონკრეტული ადამიანი, მაგრამ ვერ დააშანტაჟებ ქართველი ხალხის ნებას. დღეს მთავრობა იმიტომ არის ძლიერი, რომ ისინი ქართველი ხალხის ნებას და ეროვნულ ინტერესებს იცავენ, შესაბამისად, ჩვენი, ქართველი ხალხის დაშანტაჟებას ვერავინ მოახერხებს.

**— რა მოლოდინი გაქვთ, როგორი იქნება ძალთა ბალანსი პარლამენტში?**

— პროგნოზი უმადური საქმეა, პარლამენტის სრული შემადგენლობის წინასწარ პროგნოზი რთული არის, მაგრამ დღევანდელი მოცემულობით ცალსახაა, რომ მმართველი გუნდი 2024 წლის პარლამენტში მყარი უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი, ოპოზიციური ფლანგი კი, დიდი ალბათობით, პარლამენტში 3 პარტიას შეიყვანს.

**— საინტერესოა, რადიკალური ოპოზიციის მიზანი რა არის — მზადება არჩევნებისთვის, თუ მზადება პროცესების რადიკალიზაციისთვის?**

— ოპოზიცია არა არჩევნებისთვის, არამედ რევოლუციისთვის ემზადება, ეს არის ისეთივე ჭეშმარიტება, როგორც 2+2 არის 4. ოპოზიციას ელექტორალური მხარდაჭერა არ აქვს, ეს მათთვის კარგად არის ცნობილი. რადგან საჯაროდ ამის შესახებ არ საუბრობენ, არ ნიშნავს, რომ მათ რეალური სურათი არ აქვთ. შესაბამისად, ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი საშუალება რევოლუცია არის. მათ ავიწყდებათ, რომ თანამედროვე სამყაროში რევოლუციის სივრცე არ რჩება, დემოკრატიული სამყარო ხელისუფლების ცვლილების ერთადერთ ლეგიტიმურ გზად არჩევნებს მიიჩნევს, შესაბამისად, უნდა ავირჩიოთ, დემოკრატიული ქვეყანა ვართ თუ მესამე დონის, განუვითარებელი ქვეყანა, სადაც გადამწყვეტი არა უმრავლესობის აზრი, არამედ ერთი კონკრეტული ძალადობრივი ჯგუფის ინტერესია.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**



# დავით ზარდიაშვილი: სამდღიანი ომი, ტალიავინის დასკვნა და იდიოტი სააკაშვილის პოლიტიკური კრახი!



მეორე გვერდიდან

ორივე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომელი ვერსიაა მართალი, სააკაშვილმა უხეშად დაარღვია მოქმედი კონსტიტუცია და სამართალი. თუ ტალიავინის დასკვნას დავუჯერებთ, აშკარაა, სააკაშვილმა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოიყენა შეიარაღებული ძალები, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა – **საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა.** თუ ტალიავინს არ დავუჯერებთ, მაშინ სააკაშვილმა ასევე კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ საკუთარ ქვეყანას და არა მარტო ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს, დაუმალა საგარეო თავდასხმის ფაქტი, რაც კიდევ უარესი, საერთოდაც წარმოუდგენელი, უპრეცედენტოდ (მე არ ვიცი მსგავსი შემთხვევა, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს ამ ქვეყნის წინააღმდეგ ომის დაწყება დაემალა!) ამაზრზენი მოღალატეობრივი დანაშაულია.

კონსტიტუციის განსაკუთრებით უხეში დარღვევა თავად სააკაშვილის მიერ 9 აგვისტოს გამოცემული საომარი მდგომარეობის შესახებ აქტითაც უდავოდ დასტურდება. ამ აქტში შავით თეთრზე მითითებულია, რომ რუსები საქართველოში შემოიჭრნენ 8 აგვისტოს, რაც, რასაკვირველია, ტალიავინის დასკვნის სასარგებლოდ ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა. აღარაფერს ვამბობ ევროსაბჭოს ცნობილ რეზოლუციაზე, რადგან თავად სააკაშვილის მიერვე, საომარი მდგომარეობის შესახებ ამ 9 აგვისტოს აქტით პირდაპირ აღიარებულია, რასაც ტალიავინი ამბობს თავის დასკვნაში: 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მიერ განხორციელებული ოპ-



ერაცია არ წარმოადგენდა მხოლოდ თავდაცვით აქციას... სამხედრო ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქი ცხინვალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამხედრო მოქმედება არ იყო მხოლოდ წინმსწრებ ინციდენტებზე საპასუხო რეაქცია, არამედ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა....“ ამრიგად, ნებისმიერ შემთხვევაში, რათა არმიის გამოყენება კონსტიტუციის შესაბამისი და კანონიერი ყოფილიყო, სააკაშვილი ვალდებული იყო შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე 7 აგვისტოს ღამით ტელეფონოგრამით გაცემული ბრძანება დაუყოვნებლივ წერილობით დაესაბუთებინა, მაშინვე და არა 2 დღის დაგვიანებით (როცა უკვე სრულიად აშკარა იყო რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია), გამოეცა ნორმატიული აქტი საომარი მდგომარეობის შესახებ და უწყვეტ რეჟიმში გაევრცელებინა ეს ბრძანებულება ყველა შიდა თუ საერთაშორისო საინფორმაციო არხებით. მან ეს არ გააკეთა. ხოლო შეიარაღებული ძალების ანტიკონსტიტუციურმა გამოყენებამ რუსეთს მისცა საბაბი, განეხორციელებინა სრულმასშტაბიანი სამხდრო აგრესია და ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური კრახის წინაშე დადგა.

**– 3-დღიანი ომი როგორც დასრულდა, ვიცით. ჩამოდის სარკოზი 7-პუნქტიანი გეგმით, მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი, სააკაშვილის კატეგორიული მოთხოვნით მოხდა ერთ-ერთი პუნქტის ამოღება. ბატონო დათო, რას ითვალისწინებდა მუხლი, რომელიც იქნა ამოღებული და საერთოდ, რა იყო ეს შეთანხმება?**

– ეს გახლავთ სააკაშვილის მორიგი უმძიმესი დანაშაული. მისი დაჟინებული მოთხოვნით (!) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან, ე.წ. მედვედევ-სარკოზის დოკუმენტის იმ ვერსიიდან, რაც სარკოზიმ ხელმოსაწერად მოსკოვიდან ჩამოიტანა, ამოღებული იქნა პუნქტი, რაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსების საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში გადაწყვეტას ითვალისწინებდა. ეს პუნქტი ქმნიდა სამართლებრივ გარანტიას, რომ რუსეთი ცალმხრივად არ აღიარებდა ამ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას.

სააკაშვილმა მოითხოვა და რასაკვირველია, ეს პუნქტები შეთანხმების ტექსტიდან რუსებმაც დიდი სიამოვნებით ამოიღეს, რასაც მოჰყვა კიდეც რუსეთის მიერ ამ რეგიონების დე იურე სახელმწიფოებად აღიარება. ბუნებრივია, სააკაშვილის ეს ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მოღალატეობრივი დანაშაული. სარკოზი თავის მემუარებში მიიჩნევს, რომ ეს იყო შეცდომა. თუ სარკოზის აქვს მხედველობაში ტალეირანის ცნობილი გამოთქმა: „ეს დანაშაულზე უარესია, ეს შეცდომაა“, მაშინ მას უნდა დავეთანხმოთ. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ეს კარგად გააზრებული განზრახ დანაშაული გახლდათ. ესეც, უდიდესი ალბათობით, ასევე გარედან კარნახით იქნა ჩადენილი იგივე სტრატეგიული მიზნით, რომ საქართველოს ოკუპაცია და მისი ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსია, როგორც მუდმივი სისხლმდენი ჭრილობა საქართველოს სხეულზე, ყოფილიყო რუსეთთან ასევე მუდმივი მტრობის მიზეზი და შესაბამისად, **casus belii**, რაც ამ რეგიონების სახელმწიფოებად ცნობამ განაპირობა, პერსპექტივაში ურყევად შენარჩუნებული ყოფილიყო. ცხადია, ის პუნქტი რომ დატოვებულიყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაში, მაშინ, თუკი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსები საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში გადაწყდებოდა, შეიქმნებოდა რეალური შანსი რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადებისაც. დღეს ასეთი შანსი, სანამ რუსეთი უკან არ წაიღებს თავის უკანონო აღიარებებს, რასაკვირველია, არ არსებობს. 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, საზავო ხელშეკრულება არ არის. სააკაშვილის მიზანი, რისი შესრულებაც მას ევალებოდა, სწორედ ეს გახლდათ – მომსპარიყო ყოველგვარი შანსი რუსეთთან დაზავებისა. ეს მიზანი მიღწეულია. ჩვენს შორის ზავი შეუძლებელია, ვიდრე ეს **casus belii** არ აღმოიფხვრება.

**– ომის შემდეგ სტრატეგიული ობიექტები გადადის რუსეთის ხელში, მოხდა ორი რეგიონის დამოუკიდებლად აღიარება, და იგივე ძალა, დღესაც იგივე გეგმით მოქმედებს, ცდილობს, გარეშე კარნახით ქვეყანა ჩართოს საომარ მოქმედებაში და ამ შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ?**

– დიახ, „გლობალური ომის პარტია“ და მისი აქაური „მეხუთე კოლონა“ იგივე სტრატეგიით მოქმედებენ, რათა შენარჩუნებული იქნას ესკალაცია და ვიდრე გეოპოლიტიკური გადანაწილება არ დასრულდება, მუდმივად არსებობდეს ცეცხლის განახლების საფრთხე. ამავდროულად, ეს არ გამორიცხავდა ეკონომიკური სარგებლის მისაღებად, მტრობის მიუხედავად, სააკაშვილის მიერ სტრატეგიული ობიექტების რუსებზე გასხვისებასაც და ასევე, თითქოსდა მტრის ინტერესებში ეკონომიკურ თანამშრომლობასაც.

დღეს საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, ნებისმიერ შემთხვევაში, იმოქმედოს ეროვნული ინტერესებით, არ დაუშვას მომავალში რომელიმე სტრატეგიული ობიექტის გასხვისება, ხოლო კონფლიქტების მოსაწესრიგებლად გამოიყენოს ყველა მშვიდობიანი გზა, მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობაც, რათა შეიქმნას პირობები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

ცხადია, ეს დამოკიდებული იქნება ბევრ ფაქტორზე, უწინარეს ყოვლისა, მიმდინარე გეოპოლიტიკური გადანაწილების შედეგებზე, იმ ახალ მსოფლიო წესრიგზე, რომელიც უკვე დანგრეულის ნაცვლად უნდა შეიქმნას. იმედი დავიტოვოთ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი უფრო სამართლიანი და ხელსაყრელი აღმოჩნდება ჩვენთვის, ვიდრე აქამდე იყო და რამაც საქართველოდან მის განუყოფელი ტერიტორიების ჩამოშორებაც განაპირობა.

**– ბატონო დათო, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება დააანონსა ხელისუფლებამ, ესეც პოლიტიკური პიარია, თუ შესაძლებელია გამოძიების დაწყება და რას ელოდებით მისგან?**

– უნდა აღვნიშნო, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ აგვისტოს ომის დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არა აქვს და ასევე, რაც ხაზგასასმელია, იგი განგრძობადი დანაშაულია. როგორც ეს უკვე ზემოთ ვთქვით, დამნაშავეები - „გლობალური ომის პარტია“ და მათი აქაური აგენტურა - იგივე სტრატეგიას და ხშირად ტაქტიკასაც მისდევს, რასაც აქამდე მისდევდა. საქართველოს ომში ჩათრევა დღეს გახლავთ იმ დანაშაულის გაგრძელება, რაც 2008 წლის აგვისტოში ჩვენი ქვეყნის მტრებმა ჩაიდინეს. იმედი მაქვს, პროკურატურა და ბოლოს სასამართლო ამ დანაშაულს წერტილს დაუსვამს, საბოლოოდ აღკვეთს, ხოლო დამნაშავეებს საკადრისი მიეზღვებათ. მოველი, რომ 2008 წლის მოვლენების გამო კვალიფიციური გამოძიება წარიმართება პროკურატურაში, რის შედეგადაც სააკაშვილს და მის ბანდას, ვინც ეს ყველაფერი ჩაიდინა, ბრალს წაუყენებენ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის („საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა“) მე-2 ნაწილით: „საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, რამაც მისი მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკრგვა ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია“, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუტმეტიდან ოც წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# აგვისტოს მოვლენებს აუცილებლად მიეცემა სამართლებრივი შეფასება!

პირველი გვერდიდან

სამართალი და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ამავე დოკუმენტში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია „კონტრშეტევად“ შეფასდა. ამრიგად, ომიდან 2 თვის შემდეგ, პირველივე ოფიციალურ საერთაშორისო დოკუმენტში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარი უმძიმესი დანაშაულის დადასტურებას მოაწერა ხელი და მან ამ ნაბიჯით ქართული ჯარი, ქართველი სამხედროები და ქვეყანა საერთაშორისო სასამართლოების წინაშე უდიდესი რისკის ქვეშ დააყენა.

საერთაშორისო დონეზე უმძიმესი დანაშაულის ჩადენისა და ომის დაწყების აღიარების შემდეგ, მაშინდელმა ხელისუფლებამ პროპაგანდისტული ფილმი მოამზადა და უმაღლესი დონის სამხედრო თანამდებობის პირის, მაშინდელი გენერალური შტაბის უფროსის ზაზა გოგავას პირით აღიარებითი ჩვენება კიდევ ერთხელ გაიმეორა. კერძოდ, პროპაგანდისტულ ფილმში გოგავა ამბობს, რომ სამხედრო ოპერაციის პირველი ფაზა 12 საათში უნდა დასრულებულიყო, რადგან არსებობდა რისკი იმისა, რომ „პოტენციური მოწინააღმდეგე“ რუსეთი შესაძლოა ამ კონფლიქტში ჩართულიყო და ცხინვალის რეგიონში ქართული ჯარი რუსეთს უკვე დაკავებულ პოზიციებზე მზადყოფნაში უნდა დახვედროდა.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ ყველაზე დიდი და მძიმე დანაშაული სწორედ 2008 წელს ჩადენილი ავანტიურაა. ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი განვითარების უზრუნველსაყოფად და საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად უმნიშვნელოვანესია, ამ მოვლენებს სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცეს. საზოგადოებას ვაძლევთ პირობას, რომ არჩევნების შემდეგ ეს აუცილებლად ასე მოხდება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რადგან საერთაშორისო სასამართლოებში ყველა რისკი მოხსნილია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს აუცილებლად მიეცემა სამართლებრივი შეფასება.**

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე განვლილმა ორმა წელმა თვალნათლივ დაგვანახა, როგორი მონდომებით ცდილობდა „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველო ამ სამხედრო კონფლიქტში ჩაეთრია და ჩვენი ქვეყანა ომის ქარცეცხლში კიდევ ერთხელ გაეხვია. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ გაამყარა რწმენა, რომ ამ ადამიანებმა 2008 წელსაც გააზრებულად მოაწყვეს უმძიმესი პროვოკაცია და გარედან მიღებული ანტისახელმწიფოებრივი დავალება სრულიად გააზრებულად შეასრულეს. ვისგან მოდიოდა ეს დაკვეთა და ვის დავალებებს ასრულებდნენ მაშინდელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები, აქ ამ საკითხზე შეგნებულად არ შევჩერდებით, რადგან ყველაფერს სწორედ საჯარო სამართლებრივი პროცესი გაარკვევს. ჩვენ ვიქნებით მოსარჩელე მხარე ამ პროცესში და „ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი მოღალატეობრივი დანაშაულის გამო კოლექტიურად მოუწევს პასუხისგება. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს ყველაფერი არ ამსუბუქებს რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებს და არც იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციაზე პასუხისმგებელი სწორედ რუსეთის ფედერაციაა“!..

**7 აგვისტო, 2024**

## ჩვენი ოჯახის უროლოგი

# ნელი მოქმედების ნაღმი!






**უროლოგია – ესაა მედიცინის დარგი, რომელიც შარდსასქესო ორგანოთა დაავადებებს, მათ მკურნალობასა და პროფილაქტიკას შეისწავლის. თუ რამდენად შეიძლება იყვნენ ისინი დაკავშირებული ერთიანად ჩვენი ორგანიზმის ჯანმრთელობასთან, მის საერთო მდგომარეობასთან, საამისოდ საკმარისია იმის თქმა, რომ სხვადასხვა ბუნებისა და უროლოგიური წარმომავლობის დაავადებებს განეკუთვნებიან ონკოლოგიური სნეულებები, საშარდე გზების კენჭები, ინფექციები, ტრავმები, ასევე, სხვადასხვა პათოლოგიური პროცესები და ცვლილებები თირკმლებში, შარდის ბუშტში, საშარდე მილში, პროსტატის ჯირკვალსა და მამაკაცის სასქესო ორგანოებში. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო წლებში უროლოგიური დაავადებების სიხშირემ მთელ მსოფლიოში 20 პროცენტით მოიმატა, რაც ამ პროფილის სნეულებათა დროულ დიაგნოსტირებასა და ეფექტიან მკურნალობას განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის.**

**ცხადია, რომ უროლოგიურ პრობლემათა თავისებურებები და მკურნალობის სპეციფიკა, განსხვავებულია როგორც გენდერული, ასევე ასაკობრივი ნიშნებით, რაც სწავლულ და პრაქტიკოს ექიმთა საკვლევ და სამოქმედო ასპარეზს გაცილებით ვრცელს ხდის. მედიცინის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის წინაშე მდგარი პრობლემები, მათი გარკვეული ზოგადი თუ რეგიონული თავისებურებები, სხვადასხვა ტიპის სნეულებათა ადრეული დიაგნოსტირება, მედიკამენტოზური თუ ქირურგიული მკურნალობის აქტუალური საკითხების განხილვა გახლავთ გაზეთის ახალი რუბრიკის „ჩვენი ოჯახის უროლოგის“ თემატიკის მთავარი მიმართულებები, რომლის გამძღოლი და მთავარი კონსულტანტი საქართველოს უროლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩხოტუა გახლავთ.**

**ჩვენი პირველი საუბარი დარგის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვას მიეძღვნა.**

**– ბატონო არჩილ, თუ შეიძლება დაგვიხასიათეთ უროლოგიურ პრობლემათა მასშტაბები და სიმწვავის ხარისხი.**

–შარდსასქესო სისტემის ავადმყოფობები საერთო ავადობის მნიშვნელოვან წილს შეადგენს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. ეს, სამწუხაროდ, ეხება ბავშვთა ასაკის ავადმყოფობებსაც. თუ გადავხედავთ უროგენიტალური დაავადებების ინციდენტობის ანუ ახალი შემთხვევების რაოდენობისა და პრევალენტობის, ანუ შემთხვევების საერთო რაოდენობის სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ისინიც გამუდმებით მატულობს ყველა ასაკის პაციენტებში. ასევე მზარდია უროგენიტალური დაავადებებით განპირობებული ჰოსპიტალიზაციის, ანუ მძიმე და გართულებული შემთხვევების სტატისტიკური მაჩვენებლები. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი ასეთ პაციენტებში ძალიან დაბალია. კერძოდ, მოზრდილებში შარდსასქესო სისტემის დაავადებებით განპირობებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთი პროცენტის ფარგლებშია, ხოლო ბავშვებში სულაც ნულია. ეს სავსებით შეესაბამება ევროპული ქვეყნების მაჩვენებლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ექიმები წარმატებით მკურნალობენ ყველაზე რთულ უროლოგიურ დაავადებებსაც კი.

**გავრცელების სიხშირით, ყველაზე ხშირი უროგენიტალური დაავადებებია: საშარდე გზების ინფექციები, კენჭები, ონკოლოგიური დაავადებები და პროსტატის ჯირკვლის ავადმყოფობები. მათგან ყურადღებას გავამახვილებ ონკოლოგიურ დაავადებებზე, როგორც განსაკუთრებით რთულ და სიცოცხლისათვის საშიშ ავადმოფობებზე.**

შარდსასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები მათი საერთო ოდენობის დაახლოებიოთ 15 პროცენტს შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. ეს სტატისტიკა განსაკუთრებით საგანგაშოა მამაკაცებში: კერძოდ, ხუთ ყველაზე გავრცელებულ ავთვისებიან სიმსივნეს შორის, ორი უროლოგიურია – პროსტატისა და შარდის ბუშტის კიბო. მათგან გავრცელების სიხშირით პროსტატის კიბო მეორე, ხოლო შარდის ბუშტის კიბო მესამე ადგილზეა. ეს სტატისტიკა უცვლელია ბოლო წლების განმავლობაში, ხოლო ინფორმაცია განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს მამაკაცებისთვის, რათა მეტი ყურადღება მიაქციონ სიმსივნეების ადრეულ დიაგნოსტიკას, კერძოდ კი სკრინინგის პროგრამას, რომელიც საქართველოში მოქმედებს.

ამ და სხვა საკითხებზე აუცილებლად გვექნება უფრო დეტალური საუბარი მომდევნო პუბლიკაციებში.

**– რამდენად განსხვავდება თავისი პრობლემატიკის სიმწვავით ქალთა და მამაკაცთა უროლოგია?**

– მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, რომ უროლოგია მამაკაცთა დაავადებაა და ჩვენ, უროლოგები, „მამაკაცების ექიმები“ ვართ, რაც ასე არ არის. ჩვენ ვმკურნალობთ ქალებისა და მამაკაცების საშარდე სისტემის და მამაკაცთა სასქესო ორგანოების დაავადებებს, ხოლო ქალების გენიტალიურ დაავადებებს გინეკოლოგები მართავენ.

რა თქმა უნდა, ქალებსა და მამაკაცებში უროლოგიურ დაავადებათა სიხშირე და სპექტრი განსხვავებულია. მაგალითად, ქალებში აშკარად ჭარბობს საშარდე გზების ინფექციები (**სგი**), რაც მამაკაცებს იშვიათად ემართებათ. ამას თავისი ანატომიური და ფიზიოლოგიური მიზეზები აქვს. ცნობილია, რომ ყოველ მესამე ქალს გადატანილი აქვს ცისტიტის სულ მცირე ერთი ეპიზოდი მაინც. 65 წელზე უფროსი ქალბატონების ათ პროცენტზე მეტს გადატანილი აქვს **სგი** ბოლო 12 თვის განმავლობაში და ეს ციფრი 30 პროცენტით იზრდება 85 წლის ასაკისთვის. გარდა ამისა, პაციენტების დაახლოებით 30 პროცენტს უმეორდებათ **სგი**-ის ეპიზოდები პირველი წლის განმავლობაში, რაც დაავადების ქრონიზაციის რისკს წარმოშობს. აშშ-ის მონაცემებით, სტაციონარებსა და სოციალურ სახლებში ყოველწლიურად დგინდება **სგი**-ის დაახლოებით მილიონზე მეტი შემთხვევა.

**მამაკაცებში კი აშკარად ჭარბობს ურო-ონკოლოგიური და პროსტატის ჯირკვლის დაავადებები, ასევე უფრო ხშირია შარდკენჭოვანი დაავადებების ხვედრითი წილი, რაც, ერთობლიობაში მნიშვნელოვან ჯანმრთელობისა და სოციალურ პრობლემებს ჰქმნის.**

**– როგორია სნეულებათა სიმძიმე და პრობლემათა აქტუალობა ასაკობრივი თვასაზრისით და რას უნდა მიაქციონ ყურადღება ამ მხრივ მშობლებმა, პედიატრებმა?**

– ბავშვთა ასაკში, უროლოგიური დაავადებები იშვიათია და როგორც წესი, გვხვდება თანდაყოლილი ანომალიების სახით. მათი უმეტესობა მარტივად დიაგნოსტირდება გამოცდილი პედიატრის მიერ, თუმცა არის რთული ანომალიებიც, რომელთა სამართავად აუცილებელი ხდება სპეციალისტის, ანუ უროლოგის ჩართვა. სიმპტომები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ბავშვებში უროლოგიური დაავადების არსებობას, შემდეგია: უმიზეზო სიცხიანობა, სისხლიანი ან სუნიანი შარდი, დღისით ან ღამით შარდის შეუკავებლობა, სასქესო ორგანოების შესიება, შეწითლება და მტკივნეულობა, და სხვა. ეს უკანასკნელი, ანუ სათესლე ჯირკვლების შესიება და მტკივნეულობა, განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში, ვინაიდან იგი შეიძლება იყოს ისეთი საშიში დაავადების გამოვლინება, როგორიცაა სათესლე ჯირკვლის შემოგრეხა. ეს ურგენტული პათოლოგიაა და რამდენიმე საათში შეიძლება სათესლე ჯირკვლის ქსოვილის შეუქცევადი დაზიანებით, ანუ ნეკროზით დამთავრდეს. დაგვიანებული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, იძულებული ვხდებით სათესლე ჯირკვალი ამოვიღოთ. ამიტომ, **პირველი რჩევა მშობლებს: თუ თქვენს ბიჭს მოულოდნელად დაეწყო ძლიერი ტკივილი სათესლე ჯირკვლის არეში, ამ უკანასკნელის შეშუპება და სიწითლე, დაუყოვნებლივ, სასურველია პირველი 6 საათის განმავლობაში, მიმართოთ უროლოგს.**

როცა ასაკობრივ უროლოგიურ დაავადებებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით მამაკაცებში წინამდებარე კირკვლის, ანუ პროსტატის დაავადებებს, კერძოდ, კეთილთვისებიან ჰიპერპლაზიასა (ადენომასა) და კიბოს. არსებობს მოარული გამოთქმა: პროსტატა მამაკაცის ორგანიზმში ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმია, რომელიც სრულად ამართლებს შინაარსს. მართლაც, ასაკთან ერთად, კერძოდ 45-50 წლის შემდეგ, მედიცინისათვის ჯერ კიდევ უცნობი მიზეზების გამო, პროსტატის ჯირკვალი იწყებს ზომაში ზრდას და რიგ შემთხვევაში,





ონკოლოგიურად გადაგვარებას. ამ დაავადებების სპეციფიკური პრევენციის საშუალებები უროლოგიისათვის ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ რაც **დანამდვილებით ვიცით, არის ის, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობით დატვირთვას. ეს განსაკუთრებით ეხება პროსტატის კიბოს.**

**გამომდინარე აქედან, რჩევა მეორე: თუ თუ თქვენს გენეტიკურ ნათესავს ჰქონდა პროსტატის დაავადებები, განსაკუთრებით კი პროსტატის კიბო, აუცილებლად მიმართეთ უროლოგს და დაიწყეთ პრევენციული ღონისძიებები ადრეული, კერძოდ, 45 წლის ასაკიდან. გენეტიკურ ნათესავებში განიხილება: ბაბუები, ბიძები, მამა და ძმა.**

**– რა მდგომარეობაა მედიცინის ამ დარგში საქართველოში? რამდენად ხელმისაწვდომია და, რაც მთავარია, ეფექტიანი ჩვენში შემოტანილი მედიკამენტები?**

– ზოგადად, უროლოგიური მომსახურება საქართველოში დინამიკურად ვითარდება და მაღალ დონეზეა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კავკასია-ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების კონტექსტში, სადაც, სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობის მხრივ, საქართველო ლიდერია. ეს შეეხება როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ სერვისებს. მედიცინის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი, რომელიც საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე კარგად არის განვითარებული. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე **სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო სექტორის განვითარებაც, რაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან დინამიკურად მიმდინარეობს და რეგიონში ამ მხრივაც ვლიდერობთ. ამაში სერიოზულ როლს თამაშობს ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკა. კერძოდ, საყოველთაო დაზღვევის სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მოსახლეობის სამედიცინო სერვისის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია ონკოლოგიური დაავადებების მართვის სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ამუშავება, რაც ცოტა ხნის წინათ მოხდა და დიდი შეღავათი იქნება ამ უმძიმესი პაციენტებისთვის.**

სწრაფად ვითარდება ქვეყანაში ასევე ფარმაცევტული ბაზარი და დღესდღეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია თითქმის ყველა, საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებადი მედიკამენტი, როგორც ორიგინალური, ისე გენერიკული ფორმულების სახით.

მიუხედავად მიღწევებისა, სამედიცინო სფერო საქართველოში სრულყოფილი არ არის და აუცილებლად მოითხოვს შემდგომ დახვეწა-განვითარებას. ამის მაგალითია რამდენიმე წლის წინ დანერგილი დაფინანსების სისტემა, რომლის რამდენიმე ნაკლზე ჩვენმა ასოციაციამ წერილობით მიმართა ჯანდაცვის მინისტრს და შესთავაზა მისი გაუმჯობესების გზები. ეს ძირითადად ეხება მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისების დაფინანსებას, რომლის საყოველთაობამ და თანადაფინანსების წესის გაუქმებამ არ უნდა გამოიწვიოს მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების განვითარების დამუხრუჭება, ან შეჩერება. ვფიქრობთ, აღნიშნულის გამოსწორება შესაძლებელია, არცთუ რთული და დროული რეგულაციებით.

**მედიცინა ძვირადღირებული სერვისია და სახელმწიფოსგან დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, მაგრამ შესაძლებელია ამავდროულად იგი დიდი შემოსავლის წყაროც გახდეს. ამის საუკეთესო და თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი მეზობელი თურქეთი. მე თურქეთში პირველად გახლდით 1992 წელს და კარგად მახსოვს, თუ რა მდგომარეობაში იყო იმდროინდელი იქაური სამედიცინო სექტორი. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სწორი ინვესტიციებითა და შორს გათვლილი პოლიტიკით, თურქეთის მთავრობამ მოახერხა, ქვეყანა გადაექცია მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო სერვისის უზრუნველმყოფ ჰაბად. ამის შედეგად, იგი გადაიქცა სამედიცინო ტურიზმის ერთ-ერთ უდიდეს მსოფლიო ცენტრად, რომელიც მნიშვნელოვნად ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს.**

* * *

**ჩვენ გვქონდა იგივეს გაკეთების რეალური შანსი და საქართველოს სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ რეგიონულ ჰაბად ქცევის შესაძლებლობა კავკასია-ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის. ეს შანსი ახლაც არ არის დაკარგული, თუმცა, მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს სახელმწიფოსგან, შორს გათვლილ სტრატეგიულ ნაბიჯებთან ერთად.**

**– რა მონაწილეობას იღებს სახელმწიფო უროლოგიური პაციენტების მკურნალობაში?**

– ამ კითხვაზე ნაწილობრივ უკვე გაგეცით პასუხი. საყოველთაო დაზღვევა აფინანსებს უროლოგიურ ოპერაციებს, ურო-ონკოლოგიური პაციენტების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ და მედიკამენტურ მკურნალობას, მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული წამლებით. სახელმწიფო დაფინანსების ხარისხი და რაოდენობა განსხვავებულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე და მერყეობს 70-დან 100 პროცენტამდე.

სახელმწიფო სრულად აფინანსებს მთელი რიგი ურგენტული, ანუ სასწრაფო უროლოგიური დაავადებების მკურნალობასაც.

მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის დაცვის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაზღვევა (მაგალითად პენსიონრებს), შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ერთი, ისე მეორე დაზღვევით მიღებული დაფინანსებით და მინიმუმამდე შეამცირონ თანაგადახდის წილი.

**– დაბოლოს, ხომ ვერ დაგვიანონსებთ ჩვენი შემდგომი საუბრის თემას?**

– ვფიქრობ, შემდეგ პუბლიკაციაში გავაშუქოთ მამაკაცის ჯანმრთელობის ყველაზე აქტუალური საკითხები, კერძოდ: ერექციული დისფუნქციისა და პოტენციის პრობლემები, პროსტატის ჯირკვლის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებები. მკითხველს მივაწოდებთ ინფორმაციას ამ დაავადების შესაძლო გამომწვევ მიზეზებზე, ადრეული დიაგნოსტიკის აუცილებლობაზე, მკურნალობის ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან მეთოდებზე.

ისევე როგორც წინამდებარე პუბლიკაციაში, მომდევნო მასალებშიც მოცემული იქნება მნიშვნელოვანი პრაქტიკული რეკომენდაციები.

**ესაუბრა**
**ოთარ ტურაბელიძე**

## 650-მა ადამიანმა საიქიოდან დასაბრუნებლად 170 000 ფუნტი გადაიხადა

# საიქიოდან დაბრუნებულები...

**მოახლოებული გარდაცვალება შეიძლება საშინელ პერსპექტივად ჩანდეს, მაგრამ ერთი გერმანული სტარტაპისთვის სიკვდილის ცივი ჩახუტება არ არის შიშის საფუძველი.**

**Tomorrow Bio** თავის მომხმარებლებს ჰპირდება სიკვდილის შემდეგ გაყინვის შესაძლებლობას, რათა მომავალში ისინი აღდგნენ, როცა ტექნოლოგია საკმარისად განვითარდება.

170 000 ფუნტის (ან 63 000 ფუნტი სტერლინგის, თუ უბრალოდ ტვინის გადარჩენა გინდათ) ფასის მიუხედავად, ევროპის პირველი კრიოკონსერვაციის ლაბორატორია უკვე პოპულარულია.

კომპანია, რომელიც დაარსდა 2020 წელს, ამბობს, რომ მან უკვე გაყინა ექვსი ადამიანი და ხუთი შინაური ცხოველი, კიდევ 650 გადამხდელი წევრი ელოდება მათთან შეერთების შანსს.

კომპანიის თანადამფუძნებელმა ფერნანდო აზევედო პინეირომ განუცხადა **MailOnline**-ს: „მე პირადად მჯერა, რომ ჩემს სიცოცხლეში - ახლა 40 წლის ვარ - შემიძლია მოვახდინო რთული ორგანიზმების უსაფრთხო კრიოკონსერვაცია და რეანიმაცია.

კრიოგენული კონსერვაცია გულისხმობს ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანის სხეულის გაყინვას ისე, რომ შეინარჩუნოს იგი მომავალში.

კრიოგენული კონსერვაციის მომხრეები მიზნად ისახავენ სხეულის გაციებას **-198°C**-მდე, რათა დატოვონ ის სტაზის მდგომარეობაში, რომელშიც იყო სიკვდილის დროს.

შემდეგ, მომავალში, გარდაცვლილი პაციენტის უსაფრთხოდ რეანიმაცია და მკურნალობა პროცესის შესანელებლად.

სანამ სხეული შევა გრძელვადიანი შენახვის ობიექტში, **Tomorrow Bio**-ს თანამშრომლები ცდილობენ შეამცირონ სხეულის ტემპერატურა **-80°C**-მდე.

ჩვეულებრივ, თუ თქვენი სხეულის ტემპერატურა მოულოდნელად დაეცემა ამ წერტილამდე, თქვენს უჯრედებში წყალი გაიყინება და გაფართოვდება ყინულის კრისტალებად, რაც აზიანებს მიმდებარე ქსოვილს.

ამის თავიდან ასაცილებლად, კრიოგენული კომპანიები, როგორიცაა **Tomorrow Bio**, იყენებენ პროცესს, რომელსაც ეწოდება კრიოპროტექცია.

ბ-ნი პინეირო განმარტავს: „ეს არის ქირურგიული პროცედურა, რომლის დროსაც ჩვენ ვცვლით სხეულის სითხეებს კრიოპროტექტორებით — არსებითად სამედიცინო ხარისხის ანტიფრიზით — და ამავე დროს ვამცირებთ სხეულის ტემპერატურას“.

როგორც კი უსაფრთხოდ შეინახება ტრანზიტის დროს, მომხმარებელი გადაყვანილი იქნება შვეიცარიაში, გრძელვადიანი შენახვის საწყობში, რომელიც ეკუთვნის კომპანიის შვილობილ კომპანიას, ევროპის ბიოსტაზის ფონდს.

აქ კლიენტი თანდათან გაცივდება -196 °C-მდე 10 დღის განმავლობაში, სანამ მის ახალ სახლში ჩაეშვება - 3,20 მ სიმაღლის, ვაკუუმიზოლირებული ფოლადის კონტეინერი, სავსე თხევადი აზოტით.

იმის გამო, რომ ამ კონტეინერებს არ სჭირდებათ ელექტროენერგია სიცივის შესანარჩუნებლად, კომპანია ამბობს, რომ მათი შენახვა შესაძლებელია განუსაზღვრელი ვადით მომავალში - მანამ,



შესაძლებელია ნებისმიერი დაავადების დროს, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი.

**Future Bio**-ს მთავარი უპირატესობა პოტენციური კლიენტებისთვის არის ის, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება სხეულის შენარჩუნება სიკვდილის შემდეგ.

ბ-ნმა პინეირომ განმარტა: „ჩვენ ვართ პირველი და ამჟამად ერთადერთი კრიონიკური კომპანია, რომელიც გთავაზობთ კრიოდაცვას ამ სფეროში“.

„ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიწყებთ კრიოკონსერვაციის პროცესს პაციენტის ლეგალურად გარდაცვლილად გამოცხადებისთანავე, ჩვენი გადაკეთებული სასწრაფო დახმარების მანქანების გამოყენებით, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც მობილური საოპერაციო დარბაზები“.

იმის გამო, რომ სისწრაფე არსებითია, **Future Bio** ავრცელებს უამრავ „ლოდინის, სტაბილიზაციისა და ტრანსპორტის გუნდს (SST)”, რომელიც მდებარეობს ბერლინში, ამსტერდამსა და ციურიხში.

გარდაცვალების შემთხვევაში, ეს ჯგუფები ჩამოვლენ პაციენტის წამოსაყვანად, როგორც კი ექიმებს ლეგალურად მიეცემათ ცხედრის გათავისუფლების უფლება.

* * *

**სასწრაფო** დახმარების ჯგუფი ათავსებს სხეულს ყინულის აბაზანაში, გულის ამოტუმბვასა და ჟანგბადის ადმინისტრირების დაშლის სანამ თხევადი აზოტი პერიოდულად შეივსება.

თეორიულად, პაციენტებს შეუძლიათ „ჩუმად დაელოდონ“ კომპანიის მეთვალყურეობის ქვეშ ასობით წლის განმავლობაში, სანამ ტექნოლოგია მზად იქნება მათთვის.

**Tomorrow Bio**-ს გაკოტრების ან გაუჩინარების შემთხვევაში, მისი ნაშთები მოთავსდება სხვა მოძმე ორგანიზაციაში, სახელწოდებით **Tomorrow Patient Care Foundation.**

**Tomorrow Bio** კი აცხადებს, რომ თუ თქვენ გაქვთ დარჩენილი 100,000 ფუნტი (120,000 ევრო) შესანახად და სამკურნალოდ, შეგიძლიათ დაიბრუნოთ, როგორც კი გამოცოცხლდებით.

ამ დროისთვის, დაახლოებით 650 ადამიანი უკვე დარეგისტრირდა თვეში 50 ევროდ წევრობაზე, რათა შეძლოს ისარგებლოს **SSD** გუნდის მომსახურებით.

კომპანიის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ამ წევრიდან 149 ცხოვრობდა გერმანიაში, 30 საფრანგეთში და 30 დიდ ბრიტანეთში.

კომპანია ახლა გეგმავს შემდგომ გაფართოებას და მოიცავს მთელ კონტინენტურ შეერთებულ შტატებს 2025 წლისთვის.

საინტერესოა, რომ მისტერ პინეირომ ასევე განუცხადა **MailOnline**-ს, რომ საზოგადოების წევრების საშუალო ასაკი სულ რაღაც 36 წელია, ასე რომ, არც ერთი მათგანი არ მოკვდება მალე...

PrimeTime.ge

# დღევანდელი პოლიტიკური ვითარება საქართველოში

**ამ სათაურს უნდა დავუმატო — „ჩემი შეხედულებით“, რათა არ შევზღუდო ევროპული კავშირის დროშის მოტრფიალეთა „დემოკრატიული სულისკვეთება“.**

**ვფიქრობ, ამ ვითარების განმარტებისთვის, კარგი იქნება, თუკი მოვიხმობ იმ უცნაურ მოვლენას, რომელსაც თეოდორ ლიპსი აღწერს თავის „ესთეტიკაში“. ერთი გახლავთ, როდესაც ესთეტიკურ ობიექტს თავად ჩავწვდები (Einfühlung – გერმ.: ჩაწვდომა), ე. ი. თავისუფლად, ჩემი ნებითა და გარედან ძალდაუტანებლად, ხოლო მეორეა, როდესაც ესთეტიკური ობიექტი ძალით მეხვევა თავს, ჩემდა უნებურად მიზიდავს, მაიძულებს, რომ თავად ჩავწვდე მას, მასში გავითქვიფო. პირველ ჩაწვდომას ლიპსი უწოდებს პოზიტიურს, ხოლო მეორეს – ნეგატიურს (Theodor Lipps, Ästhetik, 2.Teil, Hamburg/Leipzig 1906, S.20-21).**

ახლა შევცვალოთ „ესთეტიკური ობიექტი“ „პოლიტიკური სინამდვილით“ – იმ გაგებით, რომ პოლიტიკური სინამდვილე გვაიძულებს, თავად ჩავწვდეთ მას, რომ იგი ძალით გვეხვევა თავს, ძალით გვიზიდავს, თავისუფალ ნებას გვაკარგინებს და ა. შ. აი სწორედ ეს მეორე ჩაწვდომაა, ლიპსის გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, „ნეგატიური“, მაგრამ რა გაეწყობა, იძულებულნი ვხდებით, „თავს გვეხვევა“ და ა. შ.

**მაინც რას მახსენებს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება საქართველოში? მას შემდეგ, რაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წავიკითხე პროფ. გიორგი გოგოლაშვილის წერილი – „აი, რატომ არის დამნაშავე გ. ხუხუა“ და, განსაკუთრებით, აკად. ავთანდილ არაბულის „გოროზი ცინიზმი“ გამახსენდა სიტყვები „ჰამლეტიდან“ (1, 4): „რაღაც დალპა დანიის სახელმწიფოში“. ლპობას თუ დავუპირისპირებთ უფრო დინამიკურ სტიქიას – ცეცხლს, მაშინ, დღევანდელი პოლიტიკური რეალობა მახსენებს გოიას სურათს – „ხანძარი“.**

დიდი რუსი ფილოსოფოსი ალექსეი ლოსევი თავის „ესთეტიკური მოძღვრებების ისტორიაში“ ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ „თავისი თავის გააბსოლუტურებელი პიროვნება არის სახელდობრ ლიბერალური პიროვნება“.

## „რაღაც დალპა დანიის სამეფოში“!..

ხოლო ვიცით რა, რომ „აბსოლუტი“ ღვთის სინონიმია, უკვე გასაგები ხდება ლიბერალების პრეტენზია ყველაფერზე ნებადართულობის. იმავე ნაწარმოებიდან: „მხოლოდ ცამეტი წლის ნიჰილისტს არ შეუძლია დაინახოს იდეალური საწყისი ოჯახში, სახელმწიფოში“. ჩასვით „ცამეტი წლის ნიჰილისტის“ ნაცვლად დღევანდელი „ლიბერალი“, და მივიღებთ იმ საგანგაშო გარემოებას, რომელშიც ვიმყოფებით!

ლიბერალური სახელმწიფო არის მსოფლმხედველობის დიქტატურა, იგი ითხოვს აზრის იძულებით ერთიანობას. ლიბერალიზმი, არა როგორც სოციალური სისტემა, არამედ როგორც რელიგია, ფანატიკურად მტრულია ყოველი რელიგიის მიმართ და ყველაზე მეტად ქრისტიანობისადმი. მას თავად სურს გახდეს რელიგია, რომელიც შეცვლის ქრისტიანობას, იგი პრეტენზიას აცხადებს, პასუხი გასცეს ადამიანური სულის მოთხოვნილებებს, მისცეს მას სიცოცხლის აზრი. ლიბერალიზმი მთლიანია, იგი მოიცავს მთელ სიცოცხლეს, იგი არ მიეკუთვნება არც ერთ სოციალურ სფეროს. ამიტომ, მისი შეჯახება სხვა რელიგიურ რწმენებთან გარდაუვალია. შეუწყნარებლობას, ფანატიზმს ყოველთვის აქვს რელიგიური წყარო. არც ერთი მეცნიერული, წმინდა ინტელექტუალური თეორია არ შეიძლება იყოს ასე შეუწყნარებელი და ფანატიკური. ასეთი ლიბერალიზმი ჩვეულებისამებრ ღებულობს მებრძოლი ათეიზმის ფორმას. გონება, რომელიც იწყებს თავისი თავის ფლობას და თავისუფლდება მისი შემბოჭველი ტრადიციებისგან,თავს უპირისპირებს ღვთის რწმენას.

უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ეს მსჯელობა აღებული მაქვს ნიკოლაი ბერდიაევის ცნობილი წიგნიდან „რუსული კომუნიზმის აზრი და სათავეები“ (**Н. Я. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М.: 1990**), ოღონდ, ნაცვლად „კომუნიზმისა“, ჩავსვი „ლიბერალიზმი“, რაც სრულად მიესადაგა მის არსს.

**ასეთი ლიბერალიზმის ქვეშ გმინავს არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო, რაც აჩქარებს ანტიქრისტეს მოსვლას.**



**ვიქტორ რცხილაძე**



# ვაშლიჯვარში, სადაც კორპუსი შენდებოდა, ბზარები გაჩნდა!

**თბილისის მერიაში ადასტურებენ, რომ ვაშლიჯვარში, ბროწეულას ქუჩაზე, სადაც კორპუსი შენდებოდა, ბზარები გაჩნდა და სამუშაოები შეჩერებულია. კალაძის უწყებაში ამბობენ, რომ დამკვეთს დამატებითი კვლევების წარდგენა დაევალა.**

– საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს გამოვეხმაუროთ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ფოტომასალას საბურთალოს რაიონში, ბროწეულის ქუჩა N5-ში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ადგილას გაჩენილი ბზარების შესახებ.

აღნიშნულ მისამართზე, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით, შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელსაც შპს „გელოვანი დეველოფმენთი“ ახორციელებს.

კომპანიას დაწყებული ჰქონდა საძირკვლისა და ხიმინჯების მოწყობა, თუმცა, ვინაიდან ბზარები შეინიშნებოდა, ამჟამად სამუშაოები შეჩერებულია.

მუნიციპალურმა ინსპექციამ დაიწყო შესწავლა. ამ ეტაპზე, გამოიკვეთა, რომ პროექტში გათვალისწინებულია დასკვნის საფუძველზე შესაძლო რისკების დაზღვევის მიზნით კონსტრუქციული ღონისძიებები.

დამკვეთს დაევალა დამატებითი კვლევის წარმოდგენა და კვლევის საფუძველზე მიზანშეწონილი ღონისძიებების გატარება. კომპანიამ დაგვიდასტურა, რომ დაწყებული აქვს კვლევები ბზარებთან დაკავშირებით. კვლევის საბოლოო შედეგები უახლოეს დღეებში შესაბამისი ფორმით წარმოდგენილი იქნება მუნიციპალურ ინსპექციაში.




# ვაის გაეყარეთ და უის შეეყარეთ!
# საქართველო სცილასა და ქარიბდას შორის

მეორე გვერდიდან

**ადამიანსაც გაუცრუა იმედები, რომლებმაც ქრისტიანული გულმოწყალება გამოიჩინეს და 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებში სამადლოდ მისცეს ხმა – „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობა ჩემთვის წითელი ხაზი აღარ არის და შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს საარჩევნო ამბოხში ვხედავო!**

უსაფუძვლო საარჩევნო ამბოხმა და საზოგადოების ხელოვნურად გახლეჩის მცდელობამ რა პროცესებსაც დაუდო სათავე, ყველა ჭკუათამყოფელმა იცის, ამიტომ ეჭვი მეპარება, კრიტიკული რაოდენობის პროტესტანტების მობილიზება გახდეს შესაძლებელი, თუმცა, მცდელობას რომ არ დააკლებენ უცხოელი ლობისტების მიერ წაქეზებული კოლექტიური ელისაშვილები, დღესავით ნათელია. ჩვენსავით პატარა ქვეყანას კი არა, განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე ამერიკის შეერთებულ შტატებს მოურყია სახელმწიფოებრივი საფუძვლები სიძულვილის ენამ და არნახულმა პოლარიზაციამ, როცა ხალხისთვის სათქმელი აღარაფერი დარჩათ ხელმოცარულ პოლიტიკოსებს, ერთმანეთის ლანძღვა-გინებაზე რომ არიან გადასული.

უფროსი თაობის ადამიანებს უდავოდ ემახსოვრებათ პრეზიდენტობის კანდიდატ რონალდ რეიგანის მომგებიანი მანევრი, რომელმაც თავშეკავებული პოზიცია აირჩია და საარჩევნო შტაბის რჩევის გათვალისწინებით, სატელევიზიო დებატებში მუხლობრივად განიხილა ჯიმი კარტერის 400-პუნქტიანი წინასაარჩევნო დაპირებები და საზოგადოებას პოპულარულ ენაზე განუმარტა, თუ რომელი სუბიექტური ფაქტორების გამო არ შესრულდა ბევრი მათგანი.



**ბელგრადის დაბომბვა სევდიანი ქმედება იყო, თუმცა, ჩვენ ასე ხშირად ვიქცევით, ხშირად ვანადგურებთ ქალაქებს და ვაწარმოებთ უამრავ ომს, ჩვენ ხომ მუდმივი ომის ქვეყანა ვართ.**

**ჯეფრი საქსი**

მიუხედავად იმისა, რომ რეიგანი დიდი პოლიტიკური გამოცდილებითა და ცენზით არ გამოირჩეოდა, პრაგმატიკოსი იყო და სწორედ ამიტომ დაიმკვიდრა ამერიკულ საზოგადოებაში წარმატებული პრეზიდენტის სახელი.

საერთაშორისო ტერორიზმისაგან რომ არავინაა დაზღვეული, ეს რობერტ ფიცოსა და დონალდ ტრამპზე ცინიკურად განხორციელებულმა თავდასხმებმა თვალნათლივ დაადასტურა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი მგონია საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის პრევენციული ხასიათის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ უცხო ქვეყნის აგენტურის მეშვეობით მზადდებოდა შეთქმულება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის ლიკვიდაციის ჩათვლით. დიდი გონებრივი გამჭრიახობა არ უნდა სჭირდებოდეს იმის მიხვედრას, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების პირველი პირები თვითნებურად არ ღებულობენ საკვანძო გადაწყვეტილებებს, ამიტომ სრულიად ლოგიკურია, გლობალისტებმა სამიზნედ ბიძინა ივანიშვილი თუ გაიხადეს.

უფლება არ გვაქვს, დავივიწყოთ ამაზრზენი შინაარსის ლოზუნგი, აგრესიულმა პროტესტანტებმა ტელეკომპანია „იმედის“ ოპერატორს კამერის წინ რომ აუფრიალეს: „სექსი ყველაზე მაგარია, მაგრამ ახლა ბიძინა ივანიშვილის სიკვდილი მირჩევნია!“

**შეთქმულების თეორიასა და მუცლით მეზღაპრეობაში რომ არ დაგვდონ ბრალი, შეგვიძლია დავიმოწმოთ კიდევ ერთი ავტორიტეტული ამერიკელი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ანალიტიკოსი, დაზვერვის საკითხების მაღალკვალიფიციური ექსპერტი ლარი ჯონსონი, რომლის დასაბუთებული ვარაუდით, დასავლეთი საქართველოში ფერადი რევოლუციის მოწყობას აპირებს და ქუჩაში საპროტესტოდ გამოსული ადამიანების მეშვეობით ცდილობენ არსებული ხელისუფლების ჩანაცვლებას მათი კაპრიზებისადმი მონური მორჩილებით შემსრულებელი ხელისუფლებით, რაც სულაც არ გახლავთ ლოგიკას მოკლებული.**

საისტორიო ბედისწერით, ჩვენი ისტორიული მეზობელი თვალუწვდენელი რუსეთია, საუკუნეთა განმავლობაში სისხლი რომ გაგვიშრო, ხოლო სამხედრო-ეკონომიკური პარტნიორი – ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე წრეგადასული იმპერიალისტური ამბიციითა და გეოსტრატეგიული ინტერესით, რაც საფუძველშივე გამორიცხავს ქართული სახელმწიფოს ხელშეუხებელ სუვერენიტეტს.

**ოდისევსის მოგზაურობისას აღწერილი სცილასა და ქარიბდას შორის არჩევანის გაკეთება არა მითიურ, არამედ რეალურ ვითარებაზეა დაფუძნებული, კერძოდ, იმდროინდელ ოკეანეებში ბინადრობდა გიგანტური რვაფეხა სცილა, რომელიც თავზარს სცემდა გემების მგზავრებს, ხოლო ქარიბდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დინების შეერთების შედეგად წარმოქმნილი მორევი იყო, ფსკერისკენ რომ მიაქანებდა ყველაფერს, რაც კი მის არეალში მოხვდებოდა.**

**ფიგურალურად თუ ვიტყვით, ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლო იმყოფება სცილასა და ქარიბდას შორის, ამიტომ განსაკუთრებული წინდახედულობა გვმართებს, ამ საშიშროებას მინიმალური დანაკარგებით რომ დავაღწიოთ თავი.**



**თეიმურაზ ჯანელიძე**

საქართველოს რესპუბლიკა

# ვინ არის ირანის ახალი პრეზიდენტი?

**ყველას გვახსოვს 20-მაისს, ირანში დიდი ტრაგედია დატრიალდა: ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად, ირანის პრეზიდენტი იბრაჰიმ-რაისი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი და თანამდებობის სხვა პირები დაიღუპნენ. აიათოლა ჰამენეიმ საპრეზიდენტო რიგგარეშე არჩევნები დანიშნა. ირანის მცველთა საბჭომ პრეზიდენტობის ექვსი კანდიდატი დაარეგისტრირა. როგორც ცნობილია, ირანში თეოკრატიული დემოკრატიაა. საპრეზიდენტო კანდიდატები ეგრეთ წოდებულ საარჩევნო ფილტრს გადიან. ირანის მცველთა საბჭოა ეს ფილტრი, აიათოლას თავჯდომარეობით. ფაქტობრივად, აიათოლა წყვეტს, ვინ დარეგისტრირდება კანდიდატად. არჩევნების პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, რადგან, ვერც ერთმა კანდიდატმა ხმების 50 პროცენტზე მეტი ვერ მიიღო. დაინიშნა მეორე ტური, რომელშიც ორი კანდიდატი მონაწილეობდა: კონსერვატორი ჯალილი და რეფორმატორი ფეზეშქიანი. მეორე ტურში, მასუდ ფეზეშქიანმა ხმების 53 პროცენტი მოიპოვა და გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ ამ არჩევნებში, 1979 წლიდან მოყოლებული, ყველაზე ცოტა რაოდენობის ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, დაახლოებით, 40-მა პროცენტმა, რაც პოლიტიკის მიმართ ირანის მოსახლეობის ნიჰილიზმზე მიუთითებს.**

დასავლეთში, ბევრი გახარებული იყო, რომ ირანის პრეზიდენტი ერთგვარი რეფორმატორია, მაგრამ ექსპერტებმა მათ იმედი გაუცრუეს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ირანის პრეზიდენტს დიდი ძალაუფლება არ აქვს. ის არ არის ირანში პირველი კაცი. ქვეყნის ნამდვილი გამგე და გამრიგე აიათოლა ჰამენეია. პრეზიდენტი ჰამენეის კაბინეტს მართავს და ქვეყანაში მეორე კაცად ითვლება. ამიტომ, ირანის ახალი პრეზიდენტი ბევრს ვერაფერს შეცვლის. მაშ, რაზე შეუძლია გავლენის მოახდენა ახალ პრეზიდენტს და რატომ ჰქვია მას რეფორმატორი?! პასუ-



ხი ასეთია: პრეზიდენტს შეუძლია ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე იქონიოს გავლენა. რეფორმატორებს კი, ირანში, ისეთ პოლიტიკოსებს ეძახიან, ვინც მოსახლეობისთვის სოციალურ და კულტურულ თავისუფლებას, ახალგაზრდებისთვის მეტ თავისუფლებას ემხრობა, ეწინააღმდეგება ჩადრის ტარებას და სხვა. რეფორმატორები ეკონომიკურ თავისუფლებებსაც ემხრობიან. ახლა, ქვეყანაში მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისია. ინფლაცია 40 პროცენტზე მაღალია. 90-მილიონიან ქვეყანაში, მოსახლეობის მესამედი ღატაკია. უმუშევრობა რეკორდებს ხსნის. ყველაფერ ამას სოციალური უკმაყოფილება ემატება. ახალგაზრდები მეტ თავისუფლებას ითხოვენ. მოკლედ, შესაძლოა, ფეზეშქიანის გამარჯვება ირანის მოსახლეობაზე მართლაც დადებითად აისახოს.

რაც შეეხება საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას, მას მთლიანად აიათოლა განაგებს. ამიტომ, დასავლეთში მიიჩნევენ, რომ დიდი არაფერი შეიცვლება, თუმცა, ზოგიერთ ექსპერტს თუ დავუჯერებთ, მართალია, ყველაფერს აიათოლა განაგებს, მაგრამ მას შეეძლო, რეფორმატორი პრეზიდენტიც არ აერჩია. ის კი, ფეზეშქიანის წინააღმდეგ არ წავიდა. ვარაუდობენ, რომ აიათოლა ფეზეშქიანის ხელით დასავლეთთან დათბობის მიღწევას ეცდება, მაგრამ, ვინ იცის, გამართლდება თუ არა ეს იმედიანი ვარაუდი.

ახლა, ვნახოთ, რა გზა გაირა ფეზეშქიანმა, ვიდრე, ირანის პრეზიდენტი გახდებოდა, და აქვს თუ არა რეალური საფუძველი ოპტიმიზმს? - 69 წლის მასუდ ფეზეშქიანი ჩრდილოეთ ირანში, აზერბაიჯანული პროვინციის ქალაქ მახაბადში დაიბადა. მამა ეთნიკური აზერბაიჯანელია, დედა კი ქურთი. ამიტომაა, თავისუფლად რომ ლაპარაკობს სამ ენაზე: სპარსულად, აზერბაიჯანულად და ქურთულად. თავიდან, ფეზეშქიანი კარიერას სოფლის მეურნეობაში გეგმავდა. ურმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა კვების ტექნოლოგიის სპეციალობით. ორი წელი ირანის შეიარაღებულ ძალებში იმსახურა, სადაც სამხედრო მედიცინასთან ჰქონდა შეხება. ჯარი რომ მოიარა, თავდაპირველი გეგმები შეცვალა და თებრიზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა. ოჯახური ტრადიციის მიხედვით, ფეზეშქიანი რელიგიური ახალგაზრდა იყო. სტუდენტობაში ღვთისმეტყველების კურსები გაიარა და, როგორც მოხალისე, თანაკურსელებს ასწავლიდა საგანს. უნივერსიტეტში, ახალგაზრდა მუსლიმთა ორგანიზაცია შექმნა. როგორც ღრმად მორწმუნე ადამიანმა, მან მხარი დაუჭირა 1979 წლის ისლამურ რევოლუციას.

ირან-ერაყის ომში წინა ხაზზე იბრძოდა. კურირებდა სამხედრო მედიკოსებს, და დაჭრილებს გადაუდებელ ოპერაციებს უტარებდა. 1985 წელს, ფეზეშქიანმა წარჩინებით დაამთავრა თებრიზის უნივერსიტეტი და, იმავე წელს, თავის ალმა-მატერში შეუდგა ლექციების კითხვას. აქვე მიიღო დოქტორის ხარისხი და, მოგვიანებით, კარდიოქირურგიას მიჰყო ხელი. ფეზეშქიანმა, მალე, თებრიზის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა მიიღო. მისი პოლიტიკური კარიერა კი, 1997 წელს დაიწყო, როცა პრეზიდენტ მუჰამედ ხათამის მთავრობაში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს და ოთხი წლის შემდეგ, მინისტრის პორტფელი ჩააბარეს. მისი დამსახურებით, ირანში 500-მდე სამედიცინო დაწესებულება და 50 სამედიცინო ცენტრი გაიხსნა, დაინერგა ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და შემოიღეს სოფლის მოსახლეობის დაზღვევა. 2006-24 წლებში, ფეზეშქიანი ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაც ეკავა. სხვადასხვა დროს, ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში ფეზეშქიანის კანდიდატურა სამჯერ ფიგურირებდა. ერთხელ, თავად მოხსნა კანდიდატურა, მეორედ კი, ეგრეთ წოდებული ფილტრი ვერ გაიარა და კანდიდატად დარეგისტრირებაზე საბჭომ უთხრა უარი. ფეზეშქიანი ქვრივია. მისი მეუღლე გინეკოლოგი იყო. მათ ოთხი შვილი ჰყავთ. 1993 წელს ფეზეშქიანის მეუღლე და ერთ-ერთი შვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. ქვრივად დარჩენილმა, სამი შვილი მარტომ გაზარდა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ისრაელი მიწისქვეშა საავადმყოფოებს აშენებს

**ბრიტანული ტელეარხის BBC-ის ცნობით, ისრაელის ჩრდილოეთით განლაგებულ ქალაქ ჰაიფაში უზარმაზარი მიწისქვეშა საავადმყოფო მდებარეობს.**

მას აქვს საოპერაციოები, სამშობიარო განყოფილება და საჭირო სამედიცინო აღჭურვილობა, თუმცა საავადმყოფოში პაციენტები ჯერ არ არიან.

რამბამის სამედიცინო ცენტრი აქ უკვე მეორედ შლის საავადმყოფოს. პირველად ეს 2006 წელს ისრაელსა და „ჰესბოლას“ ომის დროს მოხდა. მშვიდობიანობის დროს ეს ადგილი მანქანების საპარკინგე სივრცეა, თუმცა მისი საავადმყოფოდ გადაკეთება სულ რაღაც სამ საათშია შესაძლებელი.

როგორც ტელეარხი ამტკიცებს, საავადმყოფო 2 ათას საწოლზეა გათვლილი. ისრაელზე მასიური შეტევის შემთხვევაში საავადმყოფოს უამრავი პაციენტის მიღება და დაჭრილების მკურნალობა შეეძლება.

ვინაიდან გასულ კვირას თეირანში „ჰამასის“ ლიდერის ისმაილ ჰანიეს და ბეირუთში „ჰესბოლას“ ერთ-ერთი ლიდერის ფუად შუქრის მკვლელობების შემდეგ სრულმასშტაბიანი რეგიონული ომის საფრთხემ იმატა, ექიმები ჰაიფაზე დიდი შეტევისთვის ემზადებიან, რადგან ქალაქი ლიბანის საზღვართან ახლოს მდებარეობს.




# ქართველი ქალი, რომელმაც ქმრებს ნაღმი დაუმონტაჟა



## 70-იანი წლების გახმაურებული საქმე, რომელიც ფედერალურმა გამოძიებამ გახსნა

**ამბავი, რომელსაც ახლა წაიკითხავთ, 70-იან წლებში მოხდა. ბედის საძებრად ამერიკაში წასული 24 წლის ქართველი ქვრივი სისხლის სამართლის დამნაშავე აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ მან ჯერ ქართველი ქმარი მოკლა, ამერიკაში კი მეორე ქმრის მოკვლა სცადა...**

ზოგიერთი მთავარი გმირის ვინაობა შეცვლილია...

**ქვრივი გამნაღმველი**

**1974 წელს** დაბადებული ალისა მენაბდე პროფესიით გამნაღმველი იყო, სპეციალური კურსები წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული და 1996-1998 წლებში თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფში მუშაობდა. მისი მეუღლე მასზე 20 წლით უფროსი, სამხედრო პოლკოვნიკი პლატონ კოროშინაძე თბილისის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მონაწილე იყო, საკმაო ქონების მფლობელი. მას პირველი ცოლისგან ორი ქალიშვილი ჰყავდა, ალისასა და მას კი საერთო შვილი არ შეეძინათ. 1998 წლის ზაფხულში ერთ-ერთი სწავლებიდან მომავალი პლატონის „ჯიპი“ კლდიდან გადაიჩეხა, აფეთქდა და იქ მსხდომი ოთხი ადამიანი დაიღუპა. ალისა დაქვრივდა. პლატონი რომ დაკრძალა, სცადა, მისი ქონება გადაეფორმებინა, მაგრამ მხოლოდ მცირედი წილი შეხვდა – ოროთახიანი ბინა დიღომში. ალისამ ბინა გაყიდა, აღებული ფულით ამერიკის შეერთებული შტატების ვიზა იყიდა, თავდაცვის სამინისტროდან წამოვიდა და ოკეანის გაღმა გაემგზავრა. იმ დროს ქვრივი გამნაღმველი 24 წლის იყო.

**მდიდარი ქმარი**

**სამსახურის** ძებნაში ალისა მენაბდემ ლამის მთელი ამერიკა შემოიარა. უამრავ ადგილზე იმუშავა, მაგრამ დიდი ხნით არსად ჩერდებოდა. 1999 წელს ის ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. გაიცნო ამ რესტორნის მფლობელი, 59 წლის უორენ გროვსი. მენაბდემ ცოლგაშვებული მილიონერი მოხიბლა და იმდენი ქნა, რომ წლის ბოლოს მასთან ხელი მოაწერა და მილიონერის კანონიერი მეუღლე გახდა. ალისა საცხოვრებლად ნიუ-იორკის ცნობილ პენტჰაუზში გადავიდა. დადიოდა საუკეთესო მაღაზიებში, რესტორნებში. შეიძინა უამრავი მდიდრული ნივთი და ფუფუნების საგანი, ძვირფასი სამოსი და ძვირად ღირებული ავტომობილები... ისვენებდა მსოფლიოს სახელგანთქმულ კურორტებზე და საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა. გროვსს საკუთარი თვითმფრინავი ჰყავდა და ცოლ-ქმარი ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში. ალისას ამერიკელი მილიონერი მონუსხული ჰყავდა და თავის ჭკუაზე ატარებდა.

**კუსტარული ნაღმი**

**2002 წლის** აგვისტოში ალისა მენაბდე და უორენ გროვსი კერძო თვითმფრინავით ნიუ-იორკიდან მაიამიში უნდა გაფრენილიყვნენ. ბიზნესმენს საქმიანი შეხვედრა ჰქონდა პარტნიორთან. გროვსი ხშირად ატარებდა ასეთ შეხვედრებზე ალისას და მაიამიშიც ერთად უნდა გაფრენილიყვნენ, თუმცა, ბოლო მომენტში ალისამ ავადმყოფობა მოიმიზეზა და მეუღლეს გამგზავრებაზე უარი უთხრა. ამიტომ მილიონერი მარტო გაემგზავრა. აეროდრომზე რომ მივიდა, აღმოჩნდა, რომ კერძო თვითმფრინავების ფრენები ნიუ-იორკიდან 6 საათით იყო შეჩერებული ტერორისტული საფრთხიდან გამომდინარე. დაშვებული იყო მხოლოდ სამოქალაქო ფრენები. ისიც იმის შემდეგ, როცა ყველა მგზავრსა და მის ბარგს საგულდაგულოდ შეამოწმებდნენ. დრო არ ითმენდა, ამიტომ გროვსმა ნიუ-იორკი-მაიამის ავიარეისზე იყიდა ბილეთი და ჩასაჯდომად გაემართა. მას თან შავი ფერის დიპლომატი ჰქონდა, სადაც საქმიანი ქაღალდები ეწყო. როდესაც მილიონერი შეამოწმეს და მისი დიპლომატიც საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, შიგნით კუსტარულად დამზადებული საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოჩნდა. უორენ გროვსი დააკავეს და გამოძიების ფედერალურმა აგენტებმა დაჰკითხეს.

**ორი უვადო სასჯელი**

**ნიუ-იორკი-მაიამის** ავიარეისი გადაიდო და მგზავრები და თვითმფრინავი განმეორებით კიდევ უფრო გულდასმით შეამოწმეს. გროვსის დაკითხვის შემდეგ კი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები პენტჰაუზში მივიდნენ და ალისა მენაბდე დაკითხვაზე წაიყვანეს. მათ საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდათ, რომ კუსტარული ბომბი დიპლომატში მისი დამონტაჟებული იყო.

თავდაპირველად ქალი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ ბომბზე მისი თითების ანაბეჭდი აღმოჩნდა და ქალმა დანაშაული აღიარა. მან თქვა, რომ გროვსს იმიტომ კლავდა, რომ მის ქონებას დაუფლებოდა. ალისა მენაბდემ, ასევე, აღიარა, რომ 1998 წლის ზაფხულში თავისი პირველი ქმრის მანქანაში დაამონტაჟა ბომბი, რომლის აფეთქებასაც 4 ადამიანი შეეწირა.

მენაბდის მოტივი მაშინაც ქონების დაუფლება იყო. ფედერალურმა სასამართლომ ალისა მარლენის ასულ მენაბდეს ორი 30-30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა და მკაცრი რეჟიმის ქალთა ციხეში გაამწესა... ალისა მენაბდე დღესაც ცოცხალია...

**წყარო**
**„თბილისელები“**

◉ რაჭა - ჩემი სიყვარული

# ამირან სხიერელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი




**4-5 აგვისტოს, ონის სასპორტო სკოლის კომპლექსში გაიმართა ევროპის ჩემპიონის, თბილისის ,,დინამოს“ მწვრთნელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ღირსების ორდენის კავალერის ამირან სხიერელის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში.**

ტურნირი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ინიციატივით, ონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ააიპ „ონის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის“ ორგანიზებით მოეწყო.

ტურნირში, მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის, წყალტუბოს, ჭიათურის, ონის, ამბროლაურის და ონი-შოვის გუნდებმა.

ტურნირს მსაჯობდა ფიბას საერთაშორისო მსაჯი – **ავთო კუხიანიძე,** ხოლო მატჩის მდივანი იყო ფიბას საერთაშორისო მსაჯი – **ანა მაისურაძე**.

საფინალო მატჩი ონის და ამბროლაურის გუნდებს შორის გაიმართა, შეხვედრა ონის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. მესამე ადგილი წყალტუბოს გუნდმა დაიკავა. გამარჯვებული გუნდები სამახსოვრო მედლებით, თასებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.





◉ პარიზი — 2024

# სარეკორდო ტალღაზე




**პარიზში უკვე ოლიმპიადის მე-10 სათამაშო დღე მიიწურა და მედლების არაოფიციალურ საერთო ჩათვლაში ჩინეთმა 1 ოქროთი გაუსწრო აშშ-ს (22-21), მაგრამ იმ საღამოს მთავარი მოვლენა სენ დენიზე დამყარებული პირველი მძლეოსნური რეკორდი გახლდათ.**

საერთოდ, სპორტის დედოფლის მოყვარულები ტელერეპორტაჟების დროს შეამჩნევდნენ, რომ ჯერაც ძალაშია დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ დაფიქსირებული მიღწევები (სედიხი, ლიტვინოვი, კრატოხვილოვა, სლიუსარენკო), თუმცა ის სახეობა, რომელსაც ახლა შევეხებით, ლეგენდარული სერგეი ბუბკას ჰეგემონობისგან კარგა ხანია განთავისუფლდა.

დიახ, საუბარია ჭოკით ხტომასა და მის ახალ მონარქზე – შვედ **ადრიან დუპლანტისზე,** რომელმაც საფრანგეთის დედაქალაქში მოხვეჭილი კარიერის მეორე ოლიმპიური ოქრო თავისივე ჯერ ოლიმპიური (610 სმ), ხოლო ბოლო ცდაზე მსოფლიოს რეკორდით (625 სმ) აღნიშნა.

პარალელურად, დრამატულად განვითარდა მოვლენები საფეხბურთო ტურნირის ნახევარფინალში და მივიღეთ კლასიკური სატიტულო წყვილი: საფრანგეთი – ესპანეთი, რომლებიც ხვალ გამოავლენენ საუკეთესოს.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლები უკვე 40 წელია ელიან ტრიუმფს მას შემდეგ, რაც ლოს-ანჯელესში ბრაზილია დასცეს – 2:0, თუმცა ისიც სათქმელია, რომ საკუთარ კედლებშიც 7 წუთით ადრე ძირითადი დროის ამოწურვამდე ბეწვზე გადარჩნენ ეგვიპტესთან და მიზანს მატეტას დუბლით მხოლოდ დამატებით დროში მიაღწიეს – 3:1.

სხვათა შორის, ფარაონებმა ჯგუფურ რაუნდში ესპანელებს სძლიეს და მეორე ადგილზე დატოვეს, არადა შეგახსენებთ, რომ თითქმის ყველა ტურნირის ფავორიტი ეს გუნდი წინა – ტოკიოს თამაშების ფინალისტიცაა, სადაც ბრაზილიასთან ფინალი პენალტების სერიაში წააგო, ოლიმპიურ ოქროს კი უკანასკნელად 1992 წელს შინ – ბარსელონაში დაეუფლა.

სხვათა შორის, ფურია როხაც თავიდან მდევრის როლში აღმოჩნდა არგენტინის მძლეველ მაროკოსთან და ტაიმბოლი მხოლოდ 85-ე წუთზე დადო. დავძენთ, რომ მესის გარეშე მოთამაშე არგენტინა მეოთხედფინალში მასპინძლებმაც დაჯაბნეს – 1:0.

ჩვენ დელეგაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უიღბლო სტარტი ჰქონდა რობერტ კობლიაშვილს, რომელიც დევნილთა გუნდის წევრთან 1:9 დამარცხდა. რადგან მეორე წრეში ამ უკანასკნელმაც წააგო ბრძოლა, გარდაბნელი ფალავანი რეპეშაჟს მიღმა დარჩა ისევე, როგორც გუშინ ზოიძე და გობაძე.

კვანძის გახსნამდე ცოტა დარჩა საკალათბურთო ტურნირზე, სადაც ბობოლები ნახევარფინალში ასე დაწყვილდნენ: აშშ – სერბეთი, საფრანგეთი – გერმანია.

შეგახსენებთ, რომ დრიმ თიმი და იოკიჩის კამპანია ერთ ჯგუფში თამაშობდნენ და მაშინ ოკეანისგაღმელებმა მეტოქე სარბიელიდან გააქრეს – 110:84. სერბებმა კატასტროფულად დაიწყეს მეოთხედფინალიც ავსტრალიასთან – 20:44(!), მაგრამ ოვერტაიმში მაინც იძალეს – 95:90.

რაც შეეხება ზემძლავრ მასპინძელთა და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა შეხვედრას, მისი გამარჯვებულის გამოვლენა ალბათ ვანგასაც გაუჭირდება.

◉ კორტზე

# სოფიოს, ნოვაკის...

**გერმანიაში გამართული წყვილთა 60-ათასიანი პრესტიჟული ტურნირი სოფიო შაფათავასა და ჩეხი მიხაელა ბაიერლოვას გამარჯვებით დასრულდა.**

აღნიშნულ დუეტს ღირსეული მეტოქეობა ვერც მეორე ნომრად განთესილმა ბრიტანელებმა, ვერც რუმინელებმა და ვერც კორტის მასპინძლებმა გაუწიეს, ჩეხები კი უბრძოლველად დანებდნენ.

ამასობაში დრამატულად განვითარდა მოვლენებში პარიზში, სადაც მსოფლიოს 37 წლის პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა,** ბოლოსდაბოლოს, აიხდინა ძველისძველი ოცნება და პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. საამისოდ სერბმა ლეგენდამ ფინალური მატჩის ორივე პარტია ტაიბრეიქით მოუგო ესპანელ ამომავალ ვარსკვლავს კარლოს ალკარასს, რომელსაც თვითონ ფედერერის, ნადალისა და თავის საუკეთესო ნაზავს უწოდებს – 7:6, 7:6 და მასთან საერთო დავაში დაწინაურდა – 4:3.

სხვათა შორის, მანამდე ნოლემ უშანსოდ დაჯაბნა როლან გაროსის 14-გზის(!) ტრიუმფატორი რაფაელ ნადალი – 6:1, 6:4, რომელმაც მხოლოდ მეორე პარტიაში 0:4-ზე გამოაჩინა ბრჭყალები – 4:4, მაგრამ...

ეს იყო ორი ლეგენდის საიუბილეო – მე-60 და, დიდი ალბათობით ხანგრძლივი სასახელო კარიერის უკანასკნელი შეხვედრა, რადგან ბევრი ვარაუდობს, რომ 39 წლის მალიორკელი მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო მალე პენსიაზე გასვლის შესახებ გამოაცხადებს.

რაც შეეხება პრინციპული დუელის ანგარიშს, ჯოკოვიჩმა უპირატესობა გაზარდა – 31:29, თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვნად გვესახება ის ნაბიჯი, რომელიც ამ საყოველთაოდ აღიარებულმა ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ქრისტიანობის დასაცავად გადადგა და მკვეთრი პასუხი გასცა თამაშების ორგანიზატორთა მიერ გახსნის საზეიმო ცერემონიალზე გათამაშებულ მკრეხელურ სცენას საიდუმლო სერობიდან.

დიახ, ნოლემ საქვეყნოდ გაასაჯაროვა კისერზე შემოხვეული ჯვარი და ლაშა ბექაურის მამასთან – გელა ბექაურთან ერთად ღვთისმშობლის პორტრეტით გადაღებული ფოტოც გააცნო საზოგადოებას.



◉ ოვალური ბურთი




**უკვე მსოფლიო რაგბის ელიტურ ქართველ მსაჯს – ნიკა ამაშუკელს 28 სექტემბერს ველინგტონის სქაი სთედიუმზე ახალი ზელანდია – ავსტრალიის ზეპრინციპული შეხვედრის გაძღოლა ანდეს ბლედისლოუს თასის გათამაშების ეგიდით.**

**„როდესაც ბავშვობაში კომპიუტერით რაგბი – 08-ს ვთამაშობდი, აღნიშნულ მეტოქეთა ჯახის დროს ეკრანზე უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მისი ნაწილი გავხდებოდი. ბლედისლოუს თასი ასეთია – უძველესი, ხატოვანი და ვარსკვლავებით გადაჭედილი“ – წერს ნიკა სოციალურ ქსელში და გვწამს, რომ იგი ღირსეულად ჩააბარებს მორიგ უმძიმეს გამოცდასაც.**

# უდიდესი გამოწვევა

რაც შეეხება ბორჯღალოსნებს, მართალია, მათ წარმატებით დაასრულეს ზაფხულის ტესტები, მაგრამ არდადეგების მიუხედავად სიახლე მათაც უკავშირდება და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. მაშ ასე, წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნული ნაკრების დაცვისა და ფიზმომზადების ახალ, შესაბამისად, ავსტრალიელ და კანადელ მწვრთნელებს – 38 წლის **ჯულიან სალვის** და 49 წლის **დენ გოს.**

სალვი სამშობლოში სკოლებისა და 21-წლამდელთა გუნდების კაპიტანი იყო, ქვეყნის „ა“ ნაკრებში კი 8 თამაში ჩაატარა, სადაც წლის მორაგბედ დაასახელეს.

მისი საკლუბო კარიერა უმთავრესად ინგლისს უკავშირდება – პრემიერშიპი მოიგო როგორც ლესტერის, ისე ექსტერის კვართებით, თანაც პირველში 2011-2015 წლების სეზონებში 113 მატჩში 11 ლელო გაიტანა.

ლოგიკურია, რომ საწვრთნელო ცხოვრება ჯულიანმა სწორედ ექსეტერში დაიწყო და ახალ ამპლუაში ჯერ პრემიერშიპი, ხოლო შემდეგ ჩემპიონთა თასი მოიგო.

მისმა კანადელმა კოლეგამ ეროვნულ გუნდში 27 მატჩში 5 ლელო გაიტანა, თამაშის ნაადრევად დასრულებისთანავე კი უელსში ჯერ კარდიფის ფიზმომზადების, ხოლო მოგვიანებით ფორვარდების მწვრთნელი გახდა. მერე იყო ხანმოკლე გადაბარგება ინგლისში და უოსპსის ფიზმომზადებაზე ზრუნვა, შემდეგ კი კელტებთან დაბრუნება, სადაც უკვე ნიუპორტს ავარჯიშებდა. და აი, ბორჯღალოსნები...






## არდავიწყება

# ნოდარ შენგელია



**გარდაიცვალა პროფესორი ნოდარ შენგელია (1932-2024), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თურქოლოგი-ოსმანისტი.**

ნოდარ შენგელიამ 1956 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი თურქეთის ისტორიის სპეციალობით. 1957-1959 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი პედაგოგები იყვნენ: ქართული თურქოლოგიის ფუძემდებელი აკად. სერგი ჯიქია, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსთა სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი ვალერიან გაბაშვილი და ცნობილი თურქოლოგი, ისტორიკოსი და პრაქტიკოსი დიპლომატი, პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი.

მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე ასევე უდიდესი გავლენა მოახდინა პროფ. შოთა მესხიამ. ნოდარ შენგელია თავისი სასიქადულო მასწავლებლების კვალდაკვალ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა სკოლას ყველგან საამაყოდ წარმოადგენდა და საქართველოს გულშემატკივრად აქცევდა უცხოელ კოლეგებს.

1960-1979 წლებში იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, 1979-2008 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1982-1986 წლებში ამავე უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანია. 1961 წელს ნოდარ შენგელიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ოსმალური

გადასახადები და საგადასახადო სისტემა გურჯისტანის ვილაიეთის დიდიდავთრის მიხედვით“, ხოლო 1968 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში“. სელჩუკთა სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის შესწავლა ერთპიროვნულად ნოდარ შენგელიას სახელთან არის დაკავშირებული. მისი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობის განმსაზღვრელია ოსმალური საარქივო დოკუმენტური და ნარატიული ძეგლების კვლევა.

ნოდარ შენგელიამ თურქეთისა და ბულგარეთის არქივებში მოიძია, გაშიფრა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული ოსმალური დოკუმენტური მასალა; დააზუსტა ოსმალთა დაპყრობების ქრონოლოგიური ჩარჩოები, საქართველოს ცალკეულ ციხეებში განლაგებული სამხედრო ძალების შემადგენლობა, გადასახადები, აღნუსხა, კულტურული ძეგლები და ეკლესიები.

იგი წყაროთმცოდნეობით განსწავლულობას ნაყოფიერად უთავსებდა ონომასტიკური პრობლემების კვლევას. ქართველთმცოდნეობაში ახალი ეტაპია მის მიერ გამოქვეყნებულ ოსმალურ დავთართა თარგმანებში დაუნჯებული ქართველური ანთროპონიმიკა და ტოპონიმიკა, მოსახლეობის აღწერა, ეთნიკური შემადგენლობა,რაც 18 მონოგრაფიასა და 200-ზე მეტ სამეცნიერო სტატიაშია მანიფესტირებული.

1984 წელს ნოდარ შენგელია დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით; 1987 წელს მონოგრაფიისათვის „XVI-XVIII სს ოსმალური დოკუმენტური წყაროები“ იგი გახდა ივანე ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი, ხოლო 2024 წელს თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომებისთვის მიიღო აკადემიკოს სერგი ჯიქიას სახელობის აკადემიური პრემია.

დიდია ნოდარ შენგელიას წვლილი მომავალი თურქოლოგი-ისტორიკოსების აღზრდაშიც. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე ათეული საკანდიდატო დისერტაცია საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკვანძო საკითხებზე.

სამშობლოსა და საქმის ერთგულება იყო მისი დომინანტური მახასიათებელი. თავისი ერისა და თავისი მასწავლებლების წინაშე ვალმოხდილი ნოდარ შენგელია ცათა სასუფევლის გზას გაუდგა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## სულიერება

# მკურნალი და დიდმოწამე



**9 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს.**

...წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონი ქრისტეს რჯულისათვის მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

პანტელეიმონი („მოწყალე“) იზრდებოდა მდიდარსა და ცნობილ ოჯახში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, მამამ იგი სამედიცინო სასწავლებელში მიაბარა. ჭაბუკმა საოცარი ნიჭიერება გამოამჟღავნა. ამასთან ერთად გამოირჩეოდა მჭერმეტყველებით, სილამაზით და გონიერებით... ერთი მოხუცი მღვდლის რჩევით დიდმოწამე პანტელეიმონმა ირწმუნა, რომ ღმერთი ადამიანებს ბოროტი სულის ტყვეობისაგან ათავისუფლებდა. მან მრავალი ავადმყოფი განკურნა.

მეფე მაქსიმიანემ ბევრჯერ სცადა მისი მოკვლა, მაგრამ წმინდანს ყოველთვის უფალი გამოეცხადებოდა და ისიც უვნებელი რჩებოდა ხოლმე.

ერთხელაც განრისხებულმა მეფემ ბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ, ხოლო ტანი ზეთისხილის ხეზე მიებათ და ცეცხლი წაეკიდათ. მეომრებმა პანტელეიმონი ქალაქგარეთ გაიყვანეს. ჭაბუკი ლოცულობდა. ჯალათმა მას მახვილი დაჰკრა, მაგრამ რკინა ცვილივით გაიღუნა. ლოცვისას მას ზეციდან ხმა მოესმა – პანტელეიმონ!

დიდმოწამე პანტელეიმონობასთან დაკავშირებით წირვა-ლოცვა განსაკუთრებულად აღინიშნება პანტელეიმონის სახელობის განახლებულ ტაძარში, საბურთალოზე, რომლის განახლებაზეც მუდამ ზრუნავს მოძღვარი, მამა დავითი (შენგელია) თავის დაუღალავ, შრომისმოყვარე მრევლთან ერთად.

**P. S. მამა დავითმა პატარა ნაკურთხი ხატი – მკურნალი პანტელეიმონი – სპეციალურად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთათვის გამომატანა.**

**გიული ლიპარტია**




### ბიუჯეტის კუთვნილი თანხა – 8 810 751 ლარი მიისაკუთრა!

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი პირის მიმართ დაიწყეს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდა მისი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიის შემოსავლების არასწორ დეკლარირებას, რა გზითაც, მან თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ ძირითად გადასახადს – 8 810 751 ლარის ოდენობით“, – წერია განცხადებაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

### საავტომობილო სტატისტიკა საქართველოში

**2024 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში საქართველოში 2 544 საგზაო შემთხვევა აღირიცხა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ამავე ინფორმაციით, წელს, 6 თვეში რეგისტრირებული 2 544 ავარიიდან 70 შემთხვევაში გამომწვევი მიზეზი იყო სიმთვრალე.

რაც შეეხება მსხვერპლს, სტატისტიკის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში, სწორედ აღნიშნული საგზაო შემთხვევების შედეგად, დაიღუპა 179, ხოლო დაშავდა 3 356 პირი!

### 6 თვეში საქართველოში ოჯახში 3 457 ქალზე და 659 კაცზე იძალადეს!

**სტატისტის** ეროვნულმა სამსახურმა, 2024 წლის I-II კვარტლის სამართლებრივი სფეროს მაჩვენებლები, დანაშაულების სტატისტიკა გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ ამ პერიოდში საქართველოში 3 457 ქალზე და 659 კაცზე იძალადეს.

ყველაზე მეტი ძალადობის მსხვერპლი დედაქალაქში გამოვლინდა. მას მოყვება ქვემო ქართლი, იმერეთი და კახეთი.

კერძოდ, თბილისში, სულ 1926 ძალადობის მსხვერპლი ადამიანი აღირიცხა. მცხეთა-მთიანეთში – 55; აჭარაში –391; გურიაში – 44; კახეთში – 352; იმერეთში – 363; რაჭა-ლეჩხუსა და ქვემო სვანეთში – 11; სამეგრელო-ზემო სვანეთში – 192; სამცხე-ჯავახეთში – 89; შიდა ქართლში – 229 და ქვემო ქართლში – 463.

### მოძალადე სამართალდამცავი

**სპეციალური** საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ძალადობისა და მუქარის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2024 წლის 6 აგვისტოს, დუშეთის რაიონის სოფელ ზემო ბულაჩაურში დაზარალებულს სახის და თავის არეში დაზიანებები მიაყენა და დაემუქრა მისი და მისი შვილების სიცოცხლის მოსპობით.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაზარალებული ქალის მომართვის შემდეგ, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა, რის შემდეგაც 2024 წლის 7 აგვისტოს სამართალდამცავი დაკავებული იქნა ძალადობისა და მუქარის ბრალდებით.

დანაშაული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# როცა ალალი ცრემლის ღირსი ხარ!..

### ლევან ვაჟას ძე გენგაშვილის ნათელ ხსოვნას



ბევრი ისე მოდის ამქვეყნად და... ისე მიდის ამ წუთისოფლიდან, მარტო ოჯახის წევრები თუ მიაცილებენ მარადიულ სასუფევლამდე... ამ ადამიანთაგან განსხვავებით, არიან ალალი ცრემლის ღირსნიც, ვის სიკვდილსაც მთელი საზოგადოება იგებს და დამწუხრებულ ოჯახის წევრებს წლების განმავლობაში გვერდში უდგანან, თავიანთ ცრემლებს ერთ დიდ სიყვარულად აგროვებენ და სამუდამო ხსოვნის სამარედ იტოვებენ თავიანთ გულებში...

სწორედ ასეთ ადამიანთა არცთუ დიდ რიცხვს მიეკუთვნება გამორჩეული სიყვარულის მქონე პატრიოტი ადამიანი, ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი, ჩვენი უახლოესი მეგობრის შვილი **ლევან გენგაშვილი**, რომლის დაბადების და მოულოდნელი გარდაცვალების დღეა 8 აგვისტო.

მძიმეა ლევანის მშობლების და დედმამიშვილების ოჯახების ხვედრი... მაგრამ განსვენებულის მიმართ საზოგადოების პატივისცემა არ განელებულა, ამის დასტურია თუნდაც ეს მცირე მაგრამ დიდი სიყვარულის დამტევი ხსოვნის წერილი.

ჩვენო საყვარელო ლევან, შენ ფიზიკურად წახვედი ჩვენგან, მაგრამ სულიერად ისევ ჩვენთან ხარ და ჩვენთან იქნები, სანამ თუნდაც შენს მეგობართაგან ერთი ჩვენგანი ცოცხალი ვიქნებით!

**თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, შოთა ასათიანი, მიხეილ სალაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, თემურ მურღულია, ზურაბ ფორჩუა, თემურ კუჭუხიძე.**




# გაურიგდა თუ არა ამერიკა რუსეთს ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით?!

**დიდი თანხებია ჩადებული ამ ლაბორატორიაში, რაც რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა. ასეთი ლაბორატორიები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რამდენიმეა, მათ შორის, ყაზახეთში, უკრაინაში და სხვაგან და ყოველთვის რუსები ძალიან ნეგატიურად და კრიტიკულად გამოხატავდნენ თავიანთ განწყობას ლუგარის ტიპის ლაბორატორიების მიმართ ყველა ქვეყანაში, არა მხოლოდ საქართველოში.**

თვითონ ამერიკაში ლუგარის ტიპის ლაბორატორიები არ არსებობს, ამიტომ ამერიკელებმა ასეთი ლაბორატორიები გაიტანეს ქვეყნის გარეთ. ყოველ შემთხვევაში, ბევრ კითხვას ბადებდა, როგორი შტამები იყო შენახული ამ ლაბორატორიებში, რაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანებას იწვევდა.

რაც შეეხება იმ საკითხს, ხომ არ არის კულუარული მოლაპარაკების შედეგი ამერიკა-რუსეთს შორის, რომ საქართველოში დაიხუროს ლუგარის ლაბორატორია, ამას არ გამოვრიცხავ! თუკი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რუსეთმა და ამერიკამ მოილაპარაკონ ლუგარის ლაბორატორიის საკითხთან დაკავშირებითაც. მართალია, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, სფეროების გადანაწილება არ ხდებაო, მაგრამ ლუგარის ლაბორატორიაც შეიძლება იყოს ამ გადანაწილების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

კორონა ვირუსის დროს ჩვენი ექიმები გამოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ, თითქოს ლუგარის ლაბორატორიამ ძალიან დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ჯანდაცვაში მოსახლეობის დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ შედეგები არცთუ ისე სასარგებლო იყო. მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი, მაგრამ პანდემიასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება, ვის ინტერესში იყო მისი გავრცელება, რა საჭირო იყო აცრები, მე, მაგალითად, ვერაფერი ხელშესახები შედეგი ვერ ვნახე კოვიდთან დაკავშირებით, ეს აცრებიც კითხვებს იწვევს, სხვა თუ არაფერი, მეგობარი გარდამეცვალა თრომბით და ეს ძალიან ბევრ კითხვას ბადებს, ნამდვილად, კარგი იყო ეს აცრები თუ ცუდი. ამ აცრების ნეგატიური გავლენის შესახებ ჯერ ჩვენ კიდევ არ ვიცით. ბევრი ადამიანი აცრების წინააღმდეგ გამოდიოდა. სხვათა შორის, ურსულა ფონ დერ ლაიენის წინააღმდეგ საქმე გამოძიებაშია, ხომ არ იყო ეს დიდი აფიორა „ფაიზერის“ აღმასრულებელ დირექტორთან?!.

**თამარ კიკნაძე,**
**პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი.**



# ილიას ბიუსტი საგურამოში

**სოფელ საგურამოში, ილიას ხსენების დღეს, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახლად რეაბილიტირებული სკვერისა და აღნიშნულ სკვერში ილია ჭავჭავაძის ბიუსტის გახსნის ღონისძიება გაიმართა.**

პროექტი, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა ყველა შესაბამისი უწყების ჩართულობით შესრულდა.

სკულპტურა, რომლის ავტორი მოქანდაკე გიორგი კიკვაძეა, ბიზნესმენ ვაჟა უსანეთაშვილის დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის ყველა მონაწილეს.

ბიუსტის გახსნის ღონისძიებას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი და თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# გრძელდება ბოლნისის სიონის სამრეკლოს რესტავრაცია-კონსერვაცია

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ბოლნისის სიონის სამრეკლოს რესტავრაცია-კონსერვაციასა და ეზოს კეთილმოწყობას განაგრძობს.**

ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2023 წლის 23 აგვისტოს მომზადდა რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლითაც გათვალისწინებულია სამრეკლოს სრული რეაბილიტაცია, კარ-სარკმლების შეცვლა, სამრეკლოსთან ახალი ქვის ბაქნის და ასასვლელი ხის კიბის მოწყობა.

ამასთანავე, არქეოლოგების ზედამხედველობით ტაძრის ტერიტორიაზე იხსნება მიწის ფენა. სამუშაოებისას გამოჩნდა ტაძრის ძველი გალავანი, რომელიც გასუფთავდა მიწისგან და ჩაუტარდა კონსერვაცია.

სამუშაოებს ასრულებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია – შპს „ძველი გალავანი“. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის სააგენტომ გამოყო 165 037 ლარი.

ბოლნისის სიონი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია თავისი ისტორიით, არქიტექტურით, კედლის მხატვრობით, უძველესი წარწერებით. კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ბოლნური ტუფის თლილი კვადრებით აშენებული V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა. ეზოში დგას სამრეკლო, არის ძველი გალავნის ნაშთები, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი – დედათა მონასტრისთვის საჭირო ნაგებობები.



# ნიუიორკელი ქართველოლოგის საჩუქარი

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკული დარბაზის კურატორი მაია სიმონიშვილი ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველოლოგს, ბრიტანული წარმოშობის ამერიკელ ისტორიკოს პიტერ სკინერს ეწვია.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ბატონმა პიტერმა, საქართველოს შესახებ არაერთი ნაშრომის ავტორმა და ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობარმა, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა საქართველოსა და კავკასიის შესახებ ინგლისურენოვანი გამოცემების მნიშვნელოვანი კოლექცია და ინგლისური ლიტერატურა, რომელსაც მრავალი წელი პირადად არჩევდა და აგროვებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ბატონ პიტერს ერთგული მეგობრობისა და ძვირფასი საჩუქრისთვის.

პროექტის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული მადლობა – რუსუდან ვაშაკიძეს, ეთერ ჭკადუასა და ქეთი გოჩაშვილს.

# აჭარაში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ზიპლაინი შენდება

**აჭარაში ჩირუხის მთაზე ორზოლიანი ზიპლაინის მშენებლობის პროექტი დასკვნით ეტაპზეა. ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს.**



მათივე ცნობით, გაჭიმულია ბაგირი, დასრულებულია ქვედა და ზედა სადგურის მშენებლობა და მიმდინარეობს მოპირკეთება.

„უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება, 9.3 მლნ ლარია. პროექტის ფარგლებში „არწივის ბუდის“ დიზაინის, არანაკლებ 1 752 მეტრი სიგრძის ზიპლაინი მოეწყობა. ზედა სადგური ზღვის დონიდან 2496 მეტრ სიმაღლეზე განთავსდა. ქვედა სადგურში ტურისტული ცენტრი იფუნქციონირებს.

საპროექტო არეალი დაახლოებით 3500 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. შენობაში მოეწყობა კაფეტერია, ტერასა, საპარკინგე სივრცეები და ველო-სადგურები. ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ზიპლაინის მშენებლობის მიმდინარეობას, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ერთად გაეცნო.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7010; ევრო - 2.9460;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4273;**
**100 რუბლი - 3.1587; თურქული ლირა - 0.0805;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5882;**
**1000 სომხური დრამი - 6.9604.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 12 აგვისტოს**